საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 15 ოკტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ხელნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 234 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 234

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმა მწუხარებაში მყოფი შვილი ელენე დიმიტრის ასული და სიძე ილია ივანეს ძე მამულაიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 16 ოქტომბერს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ პირველის დედის და მეორის სიდედრის ძვირფას

მარიამ აბესალომის ასული მიმინაიშვილისა

წირვა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 ს. და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე შუადღის 12 ს. (3336—2—1)

ღრმად დამწუხრებული შეუღლე ანტონ იესეს ძე მამინაიშვილი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 16 ოქტომბერს დანიშნული გარდაცვალებულ მეუღლის

მარიამ აბესალომის ასულის მამინაიშვილისა

წირვა გადახდილ იქნება წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 ს. და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე შუადღის 12 ს. (3336 2—1)

საქმიაურის თემის გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საბჭოს ხმოსნის

ლუკა ხუნდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 14 ოქტომბერს, სოფ. ჩ. მეთისხ[illegible] ეკლესიის გალავანში (გურია). (ნ. 1—1)

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: გაუბედურებული მეუღლე ცუცქა, შვილი მარგო, მშობლები მელიტონი და ლიზა, და რომილია, ძმებ: კლიმენტი და სერგო, რძალი მერი გრიგოლიები, რომ 16 ამა ოქტომბერს, დილით 11 საათზე, სოფელ საჯილაოში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

სერაპიონ მელიტონის ძე გრიგოლიას

სულის მოსახსენებლად (3332 1—1)

თელავის მაზრის ს. შილდაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღვთისმშობლის ეკლესიის დიაკონი

იოანე დიმიტრის ძე აღნიაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მისი ქალი და სიძე დარია და მიხეილ მაჩაბლები, და ანნა აღნიაშვილი და და სიძე ნინო და ალექსი მირიანაშვილები. დაკრძალვა შაბათს, 16 ოქტომბერს. (3330 1—1)

გულდაკოდული ნოე გლახუნის ძე და მარიამ ივანეს ასული სიხარულიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათი საყვარელი შვილის ტრაგიკულად დაღუპულ

ავთანდილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, (დიდი მთავრის ქ. № 68) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ვალოდია, მიშა და ტოლია სიხარულიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 13 ოქტომბერს, საღამოს 6 ს. ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი ძვირფასი ძმა

ავთანდილი

პანაშვიდები ყოველ დღე, საღ. 6 ს. (დიდი მთავრის ქ. № 68) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დამწუხრებული ნ. გ. სიხარულიძის სასტუმროს გამგე შ. შ. ციპინი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფას და საყვარელ 10 წლის

ავთანდილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 13 ოქტომბერს, საღ. 6 ს. პანაშვიდები ყოველდღე, საღ. 6 ს. (დიდი მთავრის ქ. № 68). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სასტუმრო „ნოე“-ს და ნ. გ. სიხარულიძის მამულის მოსამსახურეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფას

ავთანდილ ნოეს ძე სიხარულიძის

ტრაგიკულად უდროოდ გარდაცვალებას, პანაშვიდები ყოველ დღე, საღამ. 6 ს. (დიდი მთავრის ქ. № 68). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სასტუმრო „ნოე“-ს მოსამსახურეთა ცენტრალური არტელი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს 10 წლის

ავთანდილ ნოეს ძე სიხარულიძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღ. 6 ს. (დიდი მთავრის ქ, № 68). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სახალხო სახლი

კვირას, 17 ოქტომბერს. პოეტ ნ. ჩხიკვაძის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, მგოსნის ობლების სასარგებლოდ ჰმართავს საღამოს.

I.

ივ. გომართელი და გრ. რობაქიძე

წარმოსთქვამენ სიტყვას ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაზე.

II.

„ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს“

2 მოქ. კომედია. მონაწ. მ. ქართველიშვილი, ს. ანკარა, ბ-ნნი გოცირიძე, ა. ა. მეტრეველი, ა. თევდგერიძე და მაგრალიშვილი.

III.

კონცერტები და დეკლამაცია

ქ-ნი: ლ. პოლივოდა და ბ-ნნი ვ. ლორთქიფანიძე და ზინონი შეასრულებენ ქართულ რომანსებს ი. ზარდალიშვილი, ვ. რუხაძე და ობოლი მუშა წაიკითხავენ ნ. ჩხიკვაძის ლექსებს.

IV.

თაგუნა წაიკითხავს იუმორისტულ მოთხრობას.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სახელმწ. თეატრი.

სახელმწიფო ოპერა.

15 ოქტომბერს

ბალეტის საღამო

მიხეილ მორდკინისა და ბრონისლავა პოჟიცკაიასი.

16 ოქტ. ოპერა მუშებისათვის აბესალომ და ეთერი. 17 ოქტ ფაუსტი და ვალპურგიის ღამე. წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია. ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბუღალტერო კურსებზე

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ოქტომბერს, საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12—1 საათამდე პალატის სასკოლო განყოფილებისაგან (ეროვნული საბჭოს ქუჩა, 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩა). (3303—3—2)

მიწად-მოქმედების სამინისტროს

აგრარულ რეფორმათა განყოფილება იწვევს საგრარო კომისიების

მდივნების თანამდებობაზე

გამოცდილ პირებს აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მაზრებში. ჯამაგირი თვეში 6850 მან. (ნ. 2—2)

განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირი არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან

აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) **საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი** . . . . **4000 მ.**
ბ) **სუფთა ახალგორის და სხვა რაიონების** . . . . **4500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

ვალდებულნი არიან

ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

(ნ. 10—8) **მომარაგების სამინისტრო.**

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მთლად მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ე. ი. . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

(ნ. 10—8) **მომარაგების სამინისტრო.**

ეკონომიურ თათბირზე

გუშინწინდელ პარტიულ თათბირზე ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მრავალი საყურადღებო პრობლემები დაისვა. თეორიულ და პრინციპიალურ მოსაზრებების გარდა, რომელნიც საკმაოთ ნათლათ აშუქებდენ დღევანდელ მდგომარეობის მიზეზს და შედეგებს, ჩვენ მოვისმინეთ მთელი რიგი პრაქტიკული ზომები, რომელთა ცხოვრებაში გატარება დაგვისახეს წინ, როგორც აუცილებელი საფუძველი ჩვენი მომავალი ეკონომიური პოლიტიკის. და ეს ზომები ბევრში სრულიად ეწინააღმდეგებოდენ იმას, რაც აქამდე გვიკეთებია. გატანის გაძლიერება—აკრძალვის ნაცვლად—შემოტანის შემცირება—ღია კარების ნაცვლად, საქართველოში ქართულ ბონებზე ვაჭრობა—უცხო ვალიუტის ნაცვლად, ეკონომიური მოწესრიგებული მუშაობა დღევანდელ ქაოსის მაგიერ, და მრავალი სხ. ახალ ქაღალდის ფულის ბეჭდვის სრულიად მიტოვება—საბეჭდავ მანქანის დამძიმების ნაცვლად,—ეს ერთი დიდი და სერიოზული ნაბიჯია წინ.

მთელი რიგი სხვა ზომების, რომლებზედაც მიუთითეს პირველ სხდომაზე ჩვენ მეტად პრობლემატიურად მიგვაჩნია, ზოგი მიუღებლადაც, არც ზემოაღნიშნული ზომების დაუყონებლივ განხორციელების იმედი უნდა გვქონდეს, რადგან ეკონომიური საკითხები არ იჭრება ისეთი სისწრაფით და აჩქარებით, როგორც ეს სასურველი იყო. ეკონომიურ სფეროში საჭიროა ერთხელ აღებული სწორი გზის სისტემატიურად გატარება, გარკვეული გზის დადგომა, რასაკვირველია სწორი და მიზან შეწონილის. ცდანი და სიტყვები აქ საქმეს ვნებენ უარესად, სპობენ ეკონომიურ საზრიან მუშაობას, ანგარიშიანობას.

და ამ ნიადაგზე იქმნება ისეთი პირობები, როცა ბიუჯეტი ვერ შეგვიდგენია სახელმწიფოსთვის, როცა თვის დამდეგს არ ვიცით, რამდენი ხარჯი გვექნება თვის ბოლოში.

მართალია შერყეულია ჩვენი ეკონომიური ვითარება, აწეწილია ჩვენი მეურნეობის საქმე, მაგრამ უიმედო არ არის მისი გამოსწორება. ეკონომიურ გაუმჯობესებას თანდათან მოჰყვება სახელმწიფოს ფინანსიურ სისტემის სიმტკიცე და გარკვეულობა, რაც ერთი მეორეს აუცილებელი თანამგზავრი და ხელშემწყობი პირობაა.

დიდი შრომით, გარჯით, პროდუქტივობის გაზრდით, ტეხნიკის თანდათან გაუმჯობესებით შეგვიძლია ჩვენ მივაღწიოთ ნორმალურ პირობებს, ეს კი თხოულობს დროს.

და აქ იზრდება საშიშროება, რომ უმთავრესი ამ ზომათაგანი ბოლოში იქნება გადადებული, ხოლო ფინანსების წყაროთ და წარმოების დამაქცევარ ფაქტორად კვლავ საბეჭდი მანქანა მოგვევლინება თავის ზღვა აჭრელებული ქაღალდებით.

და აი ამ ქაღალდის წარღვნის წინააღმდეგ უნდა იქნეს სასწრაფოთ მიღებული ზომები, ისეთი ზომა დაასახელა ქ. კაუცკიმ, რომლის სიტყვა მეტად სერიოზული და შინაარსიანი იყო. მან სთქვა, რომ საჭიროა დაუყონებლივ ფულის ბეჭდვა შეიცვალოს სესხის აღებით. უცხოეთი, რომელიც თვითონაც საჭიროებს კაპიტალს და და ეძებს მისთვის რაც შეიძლება უკეთეს პირობებს, ასე ადვილათ არ წამოვა აქეთკენ, დაგვრჩენია სესხი შინაური, და აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული ჩვენი ყურადღება. შინაური სესხი უნდა განხორციელდეს, ან ნებაყოფლობით, ან იძულებით. სპეკულიაციისა და კასრის ძირში ჩადებული ფულები უნდა ამოიღოს სახელმწიფომ ხაზინის მიმდინარე საჭიროების დასაკმაყოფილებლად. აი აქედან დაიწყება ნამდვილი და რადიკალური გაუმჯობესება არსებული პირობების. შეჩერება საბეჭდი მანქანის—შეაჩერებს ფასების ზრდას და ამით სპეკულიაციის პირობებს შეკვეცავს. ფასების რამდენიმეთ განმტკიცება, საშვალებას მისცემს წარმოებას ივარაუდოს და ანგარიშით იცხოვროს.

სახელმწიფოც სულს მოითქვამს. რასაკვირველია სესხი პანაცეა არ არის. მაგრამ ჩვენ ვიტყვით: მისი განხორციელება იქნება პირველი და უტყუარი ნიშანი იმისა, რომ საზოგადოების ყველა ძალები ნებსით თუ უნებლიეთ ჩაბმულია საქვეყნო აშენებლობის პროცესში, რომ ეკონომიურ სნეულებიდან გამრთელების ხანა დაწყებულია, რომ საზოგადოებამ შეიგნო აუცილებლობა გაჯანსაღების.

ამიტომ ჩვენ გვგონია, ეს უნდა გახდეს პირველი ნაბიჯი და უახლოესი საზრუნავი ჩვენი მთავრობის. ამის განსახორციელებელი საშუალებანი უნდა იქნეს პირველ ყოვლისა დიდის დაკვირვებით დამუშავებული და აწონ-დაწონილი. ეს პირველი და თითქმის გადამჭრელი იერიში იქნება დღევანდელ უკუღმართ ვითარების წინააღმდეგ. მისი მოგება მომავალ გამარჯვებების წინამორბედი იქნება, მისი წაგება კატასტროფის აუცილებლობის მომასწავებელი.

მთელი საზოგადოება უნდა გაიმსჭვალოს ამით... და მაშინ შევძლებთ ამ მძიმე და ძლიერ საშვალების განხორციელებით ნამდვილ აღორძინების ხანის დაწყებას.

პრესა

სპეკულიანტების „საქართველო“, ჯერ გულს იჯერებს ლანძღვა გინებით და მერე ერთ-ორ დიდ ტყუილს ზედ მიაყოლებს.

გაზეთი აცხადებს: „„ერთობამ“ განის პირით განაცხადა, რომ ის თითსაც არ გაანძრევს ამხანაგ ერაძის საწინააღმდეგოთო“ (№ 120). და ეს მაშინ, როცა განი სულ წინააღმდეგს სწერდა. ის ამბობდა: ჩვენ თითსაც არ გავანძრევთ „საქართველოს“ და მისი სპეკულიანტების სასიამოვნოდო. „საქართველომ“ კი ეს შეაბრუნა და უტიფრად სწერს: განმა სთქვა, ჩვენ თითსაც არ გავანძრევთ ამხანაგ ერაძის საწინააღმდეგოთო.

საიდან მოჰგონეთ ეს? ნუ თუ დაგავიწყდათ, რომ „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“? ან იქნებ ასეთი ტყუილებით გინდათ კაპიტალის შეძენა? განაგრძეთ ბატონებო! თქვენ ხომ მეტი არც კი მოგეთხოვებათ!

პური და დიქტატურა

მართალია ამხ. სეით დევდარიანი, რომელიც თავის ერთს უკანასკნელს წერილში (პური და დემოკრატია, ერთობა № 229) ამტკიცებს, რომ შიმშილობის საკითხი დიდი პოლიტიკური საკითხია. ეს ყოველთვის ესმოდათ იმპერიალისტებს, მით უმეტეს უდავო უნდა იყოს სოციალისტებისთვის. ევროპიელი იმპერიალისტები ამბობდნენ: იმპერია კუჭის საკითხია, თუ რევოლიუციისა და სამოქალაქო ომის აცილება გინდათ იმპერიალისტები უნდა გახდეთო. მთელს ევროპას მოედო იმპერიალისტური ციებ-ცხელება. თვით მუშათა კლასის დიდმა ნაწილმაც კი დაიჯერა, რომ ახალი კოლონიებისა და ბაზრების დაპყრობით ეკონომიურ გაჭირვებას აიცილებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა კოლონიების საწყობები საკმაო არ არის, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზია გაძღოს. საჭირო გახდა დიდი ომი კოლონიებისა და ბაზრების ხელში ჩასაგდებათ. ამ ომის დროს ძველი ბელლები დაიწვა ან დაცალიერდა, ახალის ასაშენებლად შეთხელებული და დაღლილი მუშათა რაზმი საკმაო აღარ არის.

ცხადია, რომ იმპერიალისტურმა პოლიტიკამ შიმშილის საკითხი ვერ გადასწყვიტა. გადასწყვეტს თუ არა მას სოციალისტური პოლიტიკა? უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დაავადებული ეკონომიური ორგანიზმის სრული გამომრთელება არც ერთს პოლიტიკას არ ძალუძს, მხოლოდ უპასუხისმგებლო დემაგოგებს შეუძლიათ იმის თქმა, რომ ხელთ აქვთ რაღაც საიდუმლო მალამო ყველა ჭრილობების დასაშუშებლად. საზოგადოთ სოციალიზმი ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ედუარდ ბელლამის რომანშია დახატული, არც ერთს რეჟიმს არ ძალუძს საყოველთაო ბედნიერებისა და კმაყოფილების დამყარება, მით უმეტეს ეს არ მოეთხოვება გარდამავალს ხანას, როცა ძველის ნგრევა და ახლის შენება ისედაც მწვავე ტკივილებს იწვევს. საკითხი მხოლოდ იმაშია, როგორ შევამსუბუქოთ ეს ტკივილები.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ საწარმოვო ძალების დაზოგვასა და განვითარებაზე, მაგრამ იმდენს არ ვაკეთებთ, რამდენის გაკეთებაც შეიძლება. სოციალისტის თვალში მთავარი საწარმოვო ძალა თვით მშრომელი ადამიანია, თუ სოციალური შრომა მოიშალა და გაცვდა, მანქანები და სხვა საწარმოვო ძალები მკვდარ კაპიტალათ იქცევა. ეს ნათლად ჩანს თანამედროვე ევროპის მაგალითზე, სადაც დიდმა ომმა საერთოდ უსულო საგნები უფრო დაზოგა ვიდრე ჯანსაღი, მშრომელი თაობა. ახლა თვით ბურჟუაზიისთვის ცხადი გახდა, რომ „მექანიკური ვაჟიშვილების“ შეწყობით აღარ შეიძლება მუშათა რაზმების შევსება.

ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ჩვენ ერთი ეკონომიური ზომა მივიღეთ, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი საწარმოვო ძალების განვითარებას და სოციალურ შრომის ორგანიზაციას. ეს ზომა იყო სოფელში ფეოდალური საკუთრების ლიკვიდაცია. საერთოდ სოფლის მუშა დღეს თითქმის შრომის სრულს ნაყოფს ღებულობს, უფრო მაძღარი და კმაყოფილია, ვიდრე რევოლიუციამდე იყო. მეორე მხრივ რადგან ლალა და სხვა უშრომლო შემოსავალი შემცირდა, უქმი ელემენტები იძულებული ხდებიან მეურნეობას მოჰკიდონ ხელი. ეს ზრდის მშრომელ რაზმებს და ხელს უწყობს დოვლათის დაგროვებას.

ქალაქი ჯერ ასე არ არის. ჩვენი ქალაქები არანორმალურ პირობებში განვითარდნენ, მათ არა აქვთ ინდუსტრია და ამიტომ თითქმის არაფრის მიწოდება არ შეუძლიათ სოფლისთვის. ქალაქის წარმოების შექმნა უპირველესი

დღეს

საქართველოს საზავო დელეგაციამ ვრცელი მემორანდუმი გადასცა ამერიკის ელჩს საფრანგეთში კოლბის ნოტის შესახებ.

გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტებმა 254 ხმით 174 ხმის წინააღმდეგ უარყვეს მე 3-ე ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება.

12 ოქტომბერს ხელი მოაწერეს რუსეთ უკრაინას და პოლონეთ შორის დროებით ზავს. დროებით საზავო პირობებით აღიარებულია უკრაინის დამოუკიდებლობა, ტყვეების გაცვლა გამოცვლა, სამხედრო ხარჯების აუნაზღაურებლობა. პოლონეთი მიიღებს იმ ქონების საფასურს, რომელიც პოლონეთიდან გაიტანეს 1919 წ. აგვისტოს 1-დან. ხელშეკრულების რატიფიკაცია 15 დღის შემდეგ უნდა მოხდეს. დროებითი ზავი ძალაში შედის ოქტომბ. 18 და გაგრძელდება 21 დღეს.

ფრანგული პრესის ცნობით ბუდიონნს თავი დაუნებებია ბოლშევიკებთან მუშაობაზე და თავისი კავალერიის ნაწილისაგან ანტიბოლშევიკური რაზმი შეუდგენია.

პრობლემაა, მაგრამ ეს დიდს დროს ითხოვს. მეორე საკითხია ქალაქის დაცლა უწარმოვო, პარაზიტულ ელემენტებისაგან. არც ეს არის ადვილი საქმე. თბილისი სავსეა შემოხიზნულ უცხოელებით, ძალიან ძნელია მათი მოთავსება ეროვნულს მეურნეობაში. ამ შემოხიზნულ უცხოელების დიდი ნაწილი ფატალური აუცილებლობით სპეკულიაციის გზას ადგება, მათ წინააღმდეგ უეჭველად ტრადიციულ სტუმართმოყვარეობის შეზღუდვა მოგვიხდება.

რა უნდა ვუყოთ საკუთარ თანამემამულეებს, რომელთაც ყოველგვარი შრომის უნარი დაჰკარგეს კლუბებში, ყავახანებსა და რუსთაველის პროსპექტზე? მათი თავშესაფარი კლუბებისა და სათამაშო სახლების დახურვა საკმაო არ არის, სახელმწიფომ უნდა სცადოს სავალდებულო შრომის ბეგრის შემწეობით გამოსადეგი ელემენტები ეროვნულ მეურნეობას დაუბრუნოს. ვინც ამ ბეგარას ვერ გაუძლებს, რასაკვირველია, დიდს პრეტენზიებს ველარ განაცხადებს მოსახმარ საგნებზე.

საერთოდ მოსახმარ საგნების განაწილება უნდა დაუქვემდებაროთ სოციალური შრომის ორგანიზაციის მიზნებს. მისაღებია ის პრინციპი, რომლის მიხედვით ვინც მეტს მუშაობს, უკეთ უნდა იკვებებოდეს და იმოსებოდეს. ეს მოითხოვს როგორც სანოვაგის, ისე ბინების სათანადო განაწილებას.

ყველა ამ ზომების განხორციელება დიქტატორულ ზომებს ითხოვს. ეს ახლა ნათელია ყველასთვის. აქ არ შევუდგებით იმის გამოკვლევას, ვინ უნდა აიღოს ხელში დიქტატორის ძალა-უფლება. საფრანგეთის კონვენტის მაგალითიდან ვიცით, რომ პარლამენტსაც ისევე კარგად შეუძლია დიქტატურის განხორციელება, როგორც პიროვნებას ან კლასობრივ ორგანიზაციას. ასეთი დიქტატურა არ ეწინააღმდეგება ნამდვილს დემოკრატიას. ქართველი ხალხის ცხრა მეათედს გლეხობა და მუშათა კლასი შეადგენს, ის ძალა, რომელიც ამ უმრავლესობის ინტერესებს დაიცავს ბოლოს მთელს ერს განახლების და აღორძინების გზაზე გაიყვანს.

სამწუხაროთ წინსვლა შეუძლებელია უმსხვერპლოთ. არავინ არ იცავს ძალმომრეობას ძალმომრეობისთვის. მაგრამ რევოლიუციონური ძალა ვერ უარჰყოფს ისეთს ქირურგიულ ოპერაციებს, რომელიც მთელი ერის ტანჯვას შეამსუბუქებს. X.

საქარ. საზავო დელეგაციის პასუხი ამერიკის ნოტაზე

მიმდინარე წლის აგვისტოს 15 ს პარიზში მყოფმა საქართველოს საზავო დელეგაციამ ქვემორე მოყვანილი მემორანდუმი გადასცა ამერიკის ელჩს საფრანგეთში და პირი ამ მემორანდუმისა გაუგზავნა ანტანტის ყველა სახელმწიფოთა მთავრობას.

მემორანდუმი.

პრესაში გამოქვეყნდა ტექსტი ნოტისა, რუსეთის საკითხის შესახებ, რომელიც ამ ბოლო დროს შეერთებული შტატების მთავრობამ გადასცა ვაშინგტონში მყოფს იტალიის ელჩს. რადგან ამ პრობლემის ზოგიერთი მხარე მეტად ეხება საქართველოს პოლიტიკურ მომავალს, საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას თავის მოვალეობათ მიაჩნია აღადგინოს საქართველოს ნამდვილი ვითარება ამერიკის ხსენებულ ნოტაში, აღნუსხულ დოქტრინების მიმართ.

ეს განმარტება მით უფრო საჭიროა რომ ამ ნოტაში განვითარებული პრინციპები ფაქტიურათ დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ არსებობის ხელაღებით უარისყოფასთან ერთად, გულისხმობენ აგრეთვე საქართველოს მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებათა კანონიერების უარისყოფას. ამ რიგად ეს უარყოფა, აღნიშნული ერთ ერთ უდიდეს სახელმწიფოთ მთავრობის დიპლომატიურ დოკუმენტში უთუოდ დიდ ვნებას მიაყენებს ქართული დემოკრატიის პოლიტიკურ ინტერესებს. ხსენებულ ნოტაში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამანადგურებელნი დასკვნანი ერთნაირად ბუნებრივათ გამომდინარეობენ რუსეთის ტერიტორიის განთქმულ მთლიანობის დოგმიდან. ეს ინტეგრალობა ნავარაუდევია „რუსეთის ძველი იმპერიის მთლიანობით, გარდა ფინეთისა ნამდვილ ეთნიურ პოლონეთისა და იმ ტერიტორიისა, რომელიც როგორც შედეგი განსაზღრულ შეთანხმებისა, შესაძლებელია შეადგენდეს სომხეთის სახელმწიფოს“. ცხადია, რომ ძველი რუსეთის ტერიტორიალური მთლიანობის პრინციპი უკვე საკმაო შელახულია იმ საგამონაკლისო ნაწილების ჩამოთვლით, რომელთა მნიშვნელობაც მეტად დიდი იყო რუსეთის იმპერიაში. მაგრამ ვიკითხოთ თვით ეს საზღვარდებული გამონაკლისი, რა გვარ სიმართლეზეა აგებული: „დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებანი ამ ეროვნებათა (პოლონელებისა, ფინელებისა და სომხების) კანონიერია და სხვა“.

ასეთია ის ახსნა, რომელსაც ნოტა იძლევა მიუხედავათ რუსეთის მთლიანობის პრინციპისა შეერთებულ შტატების გადაწყვეტილების გასამართლებლად ამ სამი „დამოუკიდებლობის“ აღიარების დროს.

საქართველომ დაიცვა თავისი საკითხი საზავო კონფერენციის წინაშე. იგი მზადაა დაიცვას ეხლაც ერთა ლიგის წინაშე და განუწყვეტლად თხოულობს თავის, უკვე არსებულ და ფაქტიურად ცნობილ დამოუკიდებლობის ფორმალურად აღიარებას. რაიცა შეეხება **დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების კანონიერებას**, საქართველოს ვერ გაუგია თუ რითი განსხვავდება მისი საქმე სხვა ანალოგიურ საკითხთაგან იმ დროს, როცა ლაპარაკია ისეთს ხალხებზედ, რომელთაც მკაფიოდ გამოსახული ნაციონალური ინდივიდუალობა აქვთ თვისი ნაციონალური შეგნებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მისწრაფების შესაქმნელად საქართველოს როდი ულოდინებია პრეზიდენტ ვილსონის განთქმულ 14 პუნქტის გამოქვეყნებისათვის.

მართალია, თვის ისტორიის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ხშირად დაჩაგრებულა, ზოგჯერ განადგურებულა კიდეც მის მეზობლად შექმნილ დესპოტიურ და გაძარცვულ იმპერიათაგან. მაშინ ოსმალეთსა და სპარსეთს, მაგალითად, შეეძლოთ ემტკიცებინათ „უკანონობა ქართველი ხალხის პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებისა“ რათქმა უნდა, ამავე აზრისა იყო რუსეთის ძველი იმპერიაც და სწორეთ გასაოცარია როდესაც ამგვარისავე მოსაზრებების განმეორებას ვპოულობთ ვაშინგტონის მთავრობის ნოტაში.

საკითხავი უკვე აღარაა, საქართველოს მისწრაფება პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი კანონიერია თუ არა. არა თუ მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან არსებობს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ 1920 წლის იანვრიდან იგი აღიარებულია, როგორც ასეთი, საფრანგეთისა, დიდი ბრიტანეთისა, იტალიისა და იაპონიის მიერ, ხოლო მცირე ხნის შემდეგ გენერალ დენიკინის და საბჭოთა მთავრობისაგან. როდესაც საქართველო აღიარეს, ზემოხსენებულნი დიდი სახელმწიფონი, უეჭველია, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს აქტი სავსებით ეთანხმებოდა მათს სიმპატიებს რუსის ხალხისადმი და აგრეთვე ჭეშმარიტად გაგებულს ინტერესებს ახალი, თავისუფალი და დემოკრატიული რუსეთისას, რომელიც თავს დააღწევს დღევანდელ ქაოსს.

საქართველო იმედოვნებს, რომ ზემოხსენებული სახელმწიფონი განაგრძობენ არჩეულ გზას და გვერდს აუქცევენ რუსეთის მთლიანობის ყალბსა და სათუო კონცეპციას; რომ იგინი ამ ფუქსავატ დოქტრინისათვის ზვარაკად არ მიიტანენ ცოცხალ პოლიტიკურ ორგანიზმებს, რომელნიც უკვე წესიერად არსებობენ იმ ფარგლებში, სადაც ოდესმე რუსეთის ძველი იმპერია იყო და რომ ამ სახელმწიფოთა, ხოლო კერძოდ კი საქართველოს ფორმალურისა და იურიდიული ცნობით საზღვარს დაუდებენ დროებითს, რათა ადგილი დაეთმოს საბოლოოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური აღიარება წინააღმდეგ ამერიკული ნოტის აზრისა, არაფრით არ შეუწყობს ხელს რუსეთის „დანაწილებას“ რუსეთის ერთიანობა შეანთქა იმან, რასაც ისტორიული კატასტროფა ეწოდება; ამ ჟამად მოწმენი უნდა გავხდეთ დემოკრატიული რუსეთის აღორძინებისა. ეს იქნება უცილოდ უდიდესი იმპერია, თუ კი შესაძლო გახდა ყველა ნამდვილ რუსულ ტერიტორიის ერთად ერთს სახელმწიფოში თავის მოყრა. ეს უკვე თავის თავად საკმაოდ ძნელი და დიდი ამოცანაა.

მაგრამ მომავალ რუსეთის ცუდ სამსახურს და მერჩევლობას გაუწევენ ისინი, ვინც შეეცდება რუსეთის მყოფად ერთეულში იმ ერების კვლავ შეერთებას, რომელთაც ეს არა სურთ, არც რუსები არიან და რომელთაც მოგვცეს მტკიცე საბუთი თვითგამგებლობის ნიჭისა.

ამ მხრით ქართული ხალხის მძლეობა და პოლიტიკური ენერგია საკმაოდ დამტკიცებულია. კომპეტენტური და მიუდგომელნი მსაჯულები, შესაძლებელია არა ერთი ნაკლს იპოვნიან საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციაში, მაგრამ ამასთანავე დაადასტურებენ სიმტკიცეს მის დაწესებულებათა წესიერებას შექმნილსა და დაცულს მთელი ერის მეცადინეობით, მიუხედავად რუსეთის ანარქიისა და თურქულ სპარსული გახრწნილობის მეზობლობის. რათა დაეტოვა ეს ნაყოფი, რათა ლენინიზმს ეხმარა ბოლშევიკურ შემოსევისა და სენის წინააღმდეგ ქართველ ხალხს უნდა გამოეჩინა უდიდესი პატრიოტიზმი და თავდადება, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკი ზედმეტია.

ამერიკის ნოტა იქამდეც კი მიდის, რომ ართმევს საქართველოს თვისებას რესპუბლიკისას; ამ სახელმწიფოს იგი „აგრედ წოდებულ საქართველოს რესპუბლიკად“ ნათლავს.

საქართველოს მთავრობა თავის ხელისუფლებას ღებულობს დამფუძნებელ კრებისაგან, რომელიც საყოველთაო კენჭის ყრით კანონიერად არჩეული მთელი მცხოვრებლების მიერ. ყოველგვარი თავისუფლება, მათ შორის თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა, უზრუნველყოფილია საქართველოში. სამართალი, ადგილობრივი თვითმართველობა და უფლებანი ეთნიურ უმცირესობათა დამყარებულია უდემოკრატეს საფუძველზე. ერთი სიტყვით, ის, რაც საბჭოთა რუსეთის რეჟიმს აკლია, სავსებით განხორციელებულია საქართველოს დაწესებულებებში. საქართველოს სამოქმედო პოლიტიკის სისტემა მთელი ქვეყნის მიერ ცნობილია, როგორც **რესპუბლიკანური.**

საქართველო დარწმუნებულია, რომ დიდი სახელმწიფონი, რომელთაც ფაქტიურად სცნეს იგი და რომელთაც უკეთესი ცნობები აქვთ ჭეშმარიტი აზრის შესადგენად, თუ რას წარმოადგენს ნამდვილად საქართველო, არაოდეს არ მიიღებენ მონაწილეობას, პირდაპირ იქ ნება თუ არა პირდაპირ, ის დამოუკიდებელი რესპუბლიკის დანგრევაში, რომელიც ქართველ ხალხს აუშენებია. მას სწამს, რომ ეს სახელმწიფონი არას დროს არ გაჰყვებიან რუსეთის იმპერიის ტერიტორიალურ მთლიანობის დახავსებულ თეორიას და რომ იგინი, მომავალი რუსეთის აღორძინებისთვის სრულიადაც საჭიროდ არ მიიჩნევენ განადგურებას, გინდა მორალურ თანაზიარობას იმ ახალ რესპუბლიკათა დასამხობათ, რომელნიც ძველი რუსეთის ფარგლებში აღორძინდნენ, კერძოთ კი საქართველოს რესპუბლიკისას. (სდს)

ოსმალეთის სომხეთზე შეტევის გარშემო

სომხეთის მთავრობამ გამოაქვეყნა საგანგებო ცნობა ოსმალთა თავდასხმის შესახებ. ამ ცნობაში სხვათა შორის მთავრობა აცხადებს: ოსმალეთის ფაშები არ აძლევენ მოსვენებას სომხეთს. იმათ უნდა გაანადგურონ ჩვენი მხარე და ამოსწყვიტონ სომხეთის ხალხი. ქვანახშირიანი ადგილი მტრის ხელში გადავიდა. სექტემბრის 28 დაიწყო გაძლიერებული თავდასხმა სომხეთზე. ოსმალების პირდაპირი მიზანია: მოსჭრან—სარიყამიშ-ყარსის რაიონს გზის ხაზი და ამ გვარათ მოამწყვდიონ სარიყამიშისა და ყაგიზმანის რაიონებში ჩვენი ჯარი.

ამის თავიდან ასაცილებლად მცხოვრებლებმა და ჯარმა სარიყამიში დასტოვა. უკან დახევა მოხდა სტრატეგიული მოსაზრებით და დაუზარალებლად. ჯარი მხნედაა. მტერს ყველგან ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ. მთავრობა სახელმწიფოს უზრუნველსაყოფათ. ყოველ ზომას ღებულობს და დარწმუნებულია, რომ მტერს თავის საზღვრებიდან განდევნის. განზე უნდა გადავდვათ კერძო საქმეები. სომხეთში დეზერტირობას ადგილი არ უნდა ქონდეს. ახალგაზრდა ადამიანი სახლში არ უნდა იჯდეს. მხოლოდ ერთსულოვნება დაიხსნის სომხეთს იმ კოშმარისაგან, რომელიც მისთვის მოაქვთ ოსმალეთის შოვინისტებს. (სდს.).

ერევანი. ოქტ. 12. მთავრობის განკარგულებით რადიო სადგურები და ავტოგარაჟები გადაეცა სამხედრო სამინისტროს.

განათლების სამინისტრომ სომხეთის ფინანსიურ აგენტს გადასცა 200,000 მანეთი ნეიტრალურ ზონის სკოლების შესანახავად.

სამხედრო მინისტრის განკარგულებით თავდაცვის რაზმის მეცადინეობა განახლდა ასეთ მეცადინეობაზე უნდა გამოცხადდენ მოქალაქენი 32—40 წლამდი. ვინც გადაიმალება მას პასუხისგებაში მისცემენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აუცილებელ საჭიროებით გამოაცხადა სამხედრო ვალდებულთა მობილიზაცია 32 წლამდი. ადმინისტრატიულ დაწესებულებებს წინადადება მიეცა ვრცლად გააცნონ მცხოვრებლებს შექმნილი მდგომარეობა. დეზერტირები სამხედრო ნაწილის აღრიცხვის უფროსებს უნდა წარედგინოს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 ოქტომბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

ახალი დელეგაცია.

პეტროგრადში ჩეხო-სლოვაკიის და და რუმინეთის პროფ. კავშირების დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციის ნაწილი დუნკერის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ რეველში იმყოფება. დელეგაციის ჩამოსვლას მოსკოვში ხუთშაბათს მოელიან.

სრულიად რუსეთის ცენტ. კომიტ. დადგენილება.

დღეს გაზეთებში გამოქვეყნებულია სრულიად რუსეთის ცენტრ. კომ. დადგენილება ციმბირის რევოლ. კომიტეტის დამტკიცების შესახებ. კომიტეტში შედიან: თავმჯდომარე სმირნოვი, წევრები—კოგანოვიჩი, შოტმანი, სოკოლოვი, შუმიატსკი, კოსარევი, პანკესი, შირინი და კავლევინი.

ერთ ფეროვანი სავაჭრო და საზღვაო სამხედრო დროშის შემოღება.

სრულიად რუსეთის ცენტ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა: დარჩეს არსებული ნიმუში სამხედრო დროშათ „წითელი დროშა ოქროს ასოებით რ. ს. ფ. ს. რ. მარცხენა მხარეზე“ სავაჭრო ფლოტისთვის იქნეს შემოღებული წითელი დროშა თეთრი ასოებით რ. ს. ფ. ს. დ. დროშის შუაგულში. საზღვაო ფლოტისთვის შემოღებული იქნეს წითელი დროშა ლურჯით და წითელი ვარსკვლავით. ლურჯის ზემო ნაწილში უნდა იქნეს თეთრი ასოები რ. ს. ფ. ს. დ.

სამხედრო ცნობები.

ოქტ. 13. მოლოდეჩნოს და კრიდანოვის რაიონებში ცვალებადი ხასიათის მკაცრი ბრძოლები გრძელდება. სლუცკის რაიონში ჩვენი ნაწილები ამავე ქალაქის ასაღებად ბრძოლას აწარმოებენ. სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა რამოდენიმე სოფელი დაიკავა. კოროსტენის და ჟიტომირის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. სტარო-კონსტანტინოვის რაიონში ბრძოლა ბუგის მარცხენა ნაპირზე სწარმოებს. პროსკუროვის მიმართულებით ლეტინევ დერაჟნას ხაზის დასავლეთით მკაცრი ბრძოლები განახლდა. ნოვოუშიცის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლებია. ნიკოპოლის, ალექსანდროვსკის და ჩაპლინის რაიონებში ცვალებადი ხასიათის მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ვერხნე ტოკმაკის რაიონში ჩვენ მტერი გავრეკეთ სოფ. ცარეკონსტანტინოვიდან.

პრელიმინალურ ზავსა და პოლონეთთან დროებით ზავზე ხელის მოწერა.

ოქტ. 12. საღამოს 7 საათ. და 30 წუთ. ხელი მოაწერეს დროებით ზავსა პრელიმინალურ პირობებს რუსეთ-უკრაინისა და პოლონეთს შორის. ოქტ. 12 ხელმოწერილი ზავის პირობები: პრელიმინალური ზავი აღიარებს უკრაინის დამოუკიდებლობას, სამხედრო ხარჯების აუნაზღაურებლობას. სავალდებულოა მძევლათ წაყვანილთა გაცვლა-გამოცვლა. პოლონეთი იღებს იმ ქონების საფასურს, რომელიც პოლონეთიდან გაიტანეს 1914 წ. აგვისტოს პირველიდან. ხელშეკრულების რატიფიკაცია 15 დღის შემდეგ უნდა მოხდეს. დროებითი ზავი ძალაში შედის ოქტ. 18 და გრძელდება 21 დღეს. ნეიტრალური ზონა საზღვარის ორივე მხარის 15 კილომ. ვრცელდება. დომბსკიმ უკანასკნელ სიტყვაში სთქვა: „მივაღწიეთ ზავს და სამართლიან შეთანხმებას ისე, რომ არ არის არც გამარჯვებული და არც დამარცხებული“.

ფრანგული პრესა

სურსათის შესახებ.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ ზომები გამოიმუშავა საფრანგეთის უზრუნველსაყოფად სურსათის მხრივ განსაკუთრებით კი გაყინულ ხორცით. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ფასების გადიდებას ებრძოლოს.

ქ. ვილნოს გარშემო.

პოლონეთის მისიამ პარიზში განაცხადა, რომ პოლონეთში არ არის სოლიდარობა, გენ. ზელიგოვსკის მიერ ვილნოს დაჭერის გამო. ხალხთა ლიგის საბჭო აღელვებულია ვილნოს ოკუპაციით.

ლეონ ბურჟუამ ლიგა-ში ყოფ. ერთა კომისიის თავმჯდომარეს დეპეშით აუწყა, რომ პოლონეთის მთავრობა მზათ არის სამწუხარო ინცინდენტის ბოლოს მოსაღებლად ზომები მიიღოს.

ბუდიონი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ბოლშევიკების შევიწროვებათა გამო უკმაყოფილება თანდათან იზრდება რუსეთის სხვა და სხვა ნაწილებში. ბოლშევიკმა ბუდიონმა თავი დაანება ბოლშევიკებთან მუშაობას და თავისი კავალერიის ნაწილისაგან ანტი ბოლშევიკური რაზმი შეადგინა.

გერმანული პრესა

ეკონომია ხარჯების.

„ფორვერტსი“ იუწყება: გერმანიის კაბინეტმა ერთხმოვნებით მიიღო ფინანსთა მინისტრის პროგრამა, მთავრობის ხარჯების შესამცირებლად. ახალი ხარჯები მის ნება დაურთველად არ იქნება გაწეული.

გერმანია და ლივონია შეთანხმდნენ.

გერმანიისა და ლივონიის სამხარო განწყობილება შეთანხმების რატიფიკაციით დამთავრდა. საბოლოო ხელშეკრულება არ დაიდება, რადგან გერმანიას ვერსალის ხელშეკრულების ძალით ევალება აღიაროს ყველა ხელშეკრულება, რომელსაც პარიზში ელჩთა საბჭო მიიღებს რუსეთთან მოსაზღვრე სახელმწიფოების მიმართ. ორივე მხარის ზარალის აუნაზღაურებას შეერთებული კომისია მოაწესრიგებს. გერმანიამ მიიღო ლივონიის ტერიტორიით თავისუფალი ტრანზიტის უფლება.

მოთხოვნა:

კასელში მეუმრავლესე სოციალისტთა მიტინგზე პარტიული ლიდერების დელეგატმა ველსმა მოითხოვა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა, დანგრეულ ოლქების აღდგენა, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს პროფ. კავ. პროლ. გენერ. შტაბი, შემდეგ აუცილებელი ნეიტრალიტეტი და რუსეთთან დაუყოვნებლივ დამოკიდებულების აღდგენა მიუხედავათ იმისა როგორი მთავრობაც არ უნდა იყვეს იქ. კოგენის ცდამ ბერლინში რომ საფრანგეთთან მორიგება მომხდარიყო საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ დიდი პროტესტები გამოიწვია.

დამოუკიდებელთა კონფერენცია.

დღეს ჰალეში გაიხსნა დამოუკიდებელ სოციალისტთა კონფერენცია. ორ მიმართულების შორის დიდი უთანხმოებაა.

გერმანელ კონსულის მკვლელობის გარშემო.

თავრიზში გერმანელი კონსულის მკვლელობით გამოწვეული ინციდენტი დასრულდა. კონსული მოკლეს თავის მოვალეობათა ასრულების დროს. სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ინახულა გერმანიის ელჩი თეირანში და ბოდიში მოიხადა. დამნაშავე გუბერნატორის სამსახურიდან დაითხოვეს. კონსულის ქვრივს პენსია დაუნიშნეს.

დამოუკიდებელთა პარტია და მე-3 ინტერნაციონალი.

დამოუკიდებელ სოციალისტთა ორგანო „ფრაიჰაიტი“ მკაცრ კრიტიკას უკეთებს მოსკოვის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მოღვაწეობას, იმ ცდის გამო, რომ მოსკოვის მაგვარობისათვის დაემორჩილებინათ გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია.

გაფიცვის საკითხი.

შრომის სამინისტროს თაოსნობით მოხდება სხდომა, სადაც გაირჩევა გაზეთზე მომუშავეთა გაფიცვის საკითხი.

ლიონის ცნობები

ისევ ვილნოს გარშემო.

პოლონეთი გენერალ ზელიგოვსკის მოქმედებას უარყოფით უყურებს. „პტი პარიზიენი“ იუწყება: პოლონეთის მთავრობა, რომელიც იცავს თავის ვალდებულებას მოკავშირეთა და განსაკუთრებით საფრანგეთის მიმართ, კიცხავს გენერალ ზელიგოვსკის მოქმედებას. პოლონეთის მთავრობა დაამტკიცებს, რომ მას არც პირდაპირ და არც ისე არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ვილნოს ავანტიურაში. მთავრობა პირობას იძლევა, რომ იგი მიიღებს ყოველგვარ ზომას იმ ჯარების გასაყვანად, რომლებიც ვილნოში შევიდნენ. პარიზში მყოფმა პოლონეთის ელჩმა გრაფმა ზამოისკიმ ყველაფერი ეს პირადათ გადასცა ჟორჟ ლეიგს, რომელიც სამშაბათს საღამოს ინახულა.

გერმანელი დამოუკიდებლები.

სამშაბათს, ჰალეში მომხდარ დამოუკიდებელთა კონგრესზე მოსკოვთან შეერთების საკითხის შესახებ კამათი დაიწყო. დამოუკიდებელთა პარტიის მოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხეს. მოსკოვთან შეერთების წინადადება უარყვეს 254 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 174 ხმისა.

რუსეთ-ჩინეთის რკინის გზები.

თანახმად ჩინეთის მთავრობის და რუსეთ აზიის ბანკის შორის დადებულ ხელშეკრულებისა, ჩინეთის მთავრობა იღებს თავის თავზე რუსეთ-ჩინეთის რკინის გზების მართველობას და მათ ექსპლოატაციაში პასუხისმგებლობას.

ერთა ლიგის გარშემო.

ერთა ლიგის სხდომა ოქტ. 20 ბრიუსელში გაიხსნება ალანდის კუნძულების საკითხის შესასწავლად შვეციისა და ფინლანდიის შესათანხმებლად.

მილანში გაიხსნა ერთა ლიგის იდეების საგიტაციო საზოგადოება. (დასწყისი არაა მიღებული) რაც შეეხება ზემო სილეზიის პლებისციტს, ის... ამ მხარეში ცხოვრობს 1,200,000 პოლონელი და 600,000 გერმანელი. გერმანიის მთავრობა გრძნობს, რომ ხალხის უმრავლესობის აზრი, არ იქნება მისთვის ხელსაყრელი და ამიტომ იგი ზომებს იღებს გაზაფხულამდე გადასადებად. ის ფიქრობს ამ 6—7 თვით ისარგებლოს და კენჭის ყრაზე გავლენა მოახდინოს. ახლა გერმანიას სურს დაარწმუნოს მოკავშირეები, რომ ზემო სილეზიაში მრეწველობა საჭიროა მისთვის საზავო ხელშეკრულების პირობათა შესასრულებლად.

ცნობის უარყოფა.

რიგა. 11/10. ფრანგული გაზეთები უარყოფენ ცნობას, თითქოს ხმელთაშუა ზღვაში საფრანგეთის ესკადრა ადესაში შესასვლელად ემზადებოდეს.

ზავის შესახებ.

ლონდონი. 11/10. გაზ. „სენდე ტაიმს“-ში (ფინანსისტების ორგანო) დაბეჭდა წერილი, რომ ზავი საბჭოთა რუსეთთან უნდა დაიდოს შემდეგ პირობებზე: რუსეთმა უნდა აღიაროს: ყველა ძველი ომამდე ვალებული, სამხედრო ვალის ზოგი ნაწილი და ანტი-ბრიტანეთის პროპაგანდის შეწყვეტა. გაზეთი მოითხოვს ზავის დაუყონებლივ შეკვრას, რათა ინგლისმა სავაჭრო დამოკიდებულება აღადგინოს საბჭოთა რუსეთთან.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ქემალის ჯარი.

სტამბოლი. ოქტ. 8 პრესის ცნობით მცირე აზიის ჯარი შესდგება ორი არმიისაგან იზმიდის და აღმოსავლეთ ოლქების არმიისაგან. იზმიდის ჯარს შეადგენს 12 14——20 კორპუსი. მას სათავეში მუსტაფა ქემალი უდგას. მეორე არმიას 3 კორპუსი შეადგენს. მას ხელმძღვანელობს ვეზირ კარაბექირ ფაშა. პირველ არმიაში 24813 ჯარისკაცია და 625 ოფიცერია. მცირე არმიაში 5000 ჯარისკაცია. სტამბოლში მიღებული ცნობებით ამ ცოტა ხანში ქემალისტებს იარაღი და სამხედრო მასალა მიუღიათ.

ფაქტიური შეუძლებობა.

ბერლინი. ოქტ. 2. უცხოეთის ტყვეებ-

სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფ. წყობილება

მექსიკა.

მექსიკის კონსტიტუცია (1857 წ.) ამყარებს **წარმომადგენლობით, დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკას**, რომელიც ავტონომიურ შტატებისაგან შესდგება ნაციონალური სუვერენიტეტი ხალხშია და ყოველი ხელისუფლება ხალხისაგან მომდინარეობს. ხალხს საუკუნოდ რჩება უფლება შეცვალოს მართვა-გამგეობის ფორმა.

კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის და მოქალაქის უფლებებს. მექსიკის რესპუბლიკის ტერიტორიამ მონა არ იცის. არის თავისუფლება რწმენის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირის, მოძრაობის, ხელობის, პეტიციის. მოსპობილია ყოველივე პრივილეგია. სამშობლოსა და კაცობრიობისთვის თავდადებულ თვითონ ხალხის არჩეულნი დააჯილდოებენ საპატიოდ. კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა. სიკვდილით დასჯა პოლიტიკური დანაშაულისთვის არაა. გამონაკლისი: სამშობლოს ღალატი ომის დროს. საშიშროების დროს საკონსტიტუციო გარანტიათა მოქმედება ჩერდება.

მექსიკის კონსტიტუცია **ხელისუფლებათა განაწილებას** ემყარება მზგავსად ჩრ.-ამერიკის კონსტიტუციისა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო ხელისუფლება ცალ-ცალკე მოქმედებს. მათი შეერთება ერთი პირის ან კორპორაციის ხელში შეუძლებელია.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს **გენერალური კონგრესი** (პარლამენტი). შესდგება ორი პალატისაგან: დეპუტატების და სენატორების პალატა.

დეპუტატთა პალატას ირჩევს ხალხი ორი წლით. ერთი დეპუტატია 60 000 მცხოვრებზე. **უფლებ. დეპუტატისთვის ირჩევა კანდიდატი.** არჩევნები საყოველთაო თანასწორი, ფარულია, მაგრამ არაპირდაპირი. ქალებს საარჩევნო უფლება არა აქვთ.

სენატში შედის ორ-ორი სენატორი თვითეული შტატიდან. მათ ირჩევს შტატის საკანონმდებლო კრება 4 წლით, ირჩევა უთუოდ კანდიდატიც. სენატი ახლდება სანახევროდ ყოველ ორ წელიწადში.

კონგრესი თვითონ იკრიბება. წელიწადში ორი სესია აქვს. დეპუტატი და სენატორი შეუვალნი არიან. სიტყვისა და ხმის მიცემისათვის პასუხს არ აგებენ.

კონგრესის წევრის მოვალეობა შეუთავსებელია სხვა ყოველივე სახელმწიფო ჯამაგირიან თანამდებობასთან. კონგრესის წევრს აქვს გასამრჯელო.

საკანონმდებლო ინიციატივა აქვს კავშირის პრეზიდენტს, კონგრესის წევრებს და შტატების საკანონმდებლო კრებებს. პრეზიდენტს აქვს სუსპენსიური ვეტოს უფლება. 10 დღეში შეუძლიან დაუბრუნოს კანონი კონგრესს. კანონი ძალაში შედის, უკეთუ კონგრესმა ხელახლა დაადასტურა იგი.

გენერალური კონგრესის უფლება და მოვალეობაა: ახალი შტატის მიღება და შექმნა, ომი და ზავი, [illegible] შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაცია, ამნისტია და სხ. მისი უფლებაა აგრეთვე აირჩიოს რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტი (როცა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი არაა).

როდესაც კონგრესი გაშვებულია, მოქმედებს **მუდმივი დეპუტაცია**, შესდგება 29 წევრისაგან, ამათგან 15 დეპუტატი უნდა იყოს, 14—სენატორი. მუდმივი დეპუტაცია კონგრესის მაგიერობას სწევს.

აღმასრულებელ ძალის ხელისუფლებას ახორციელებს „**მექსიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი**“. ირჩევა 4 წლით. არჩევნები არაპირდაპირია. ეს არის **კონსტიტუციური პრეზიდენტი.** როცა კონსტიტუციური პრეზიდენტს სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიან შეასრულონ თავის მოვალეობა, გენერალური კონგრესი ირჩევს დროებითს პრეზიდენტს, ვიდრე კონსტიტუციური პრეზიდენტი დაუბრუნდება თავის მოვალეობის ასრულებას ან ახალი აირჩევა.

პრეზიდენტის უფლება და მოვალეობაა კანონთა გამოქვეყნება და ასრულება, დანიშვნა და დათხოვა მინისტრების, ელჩების და მოხელეების, ბრძანებლობა ჯარის და სხ.

მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე.

ფედერალურ ადმინისტრატიული მართველობისთვის არსებობს სხვადასხვა სეკრეტარიატი. მათ უძღვებიან სახელმწიფო სეკრეტრები. პრეზიდენტის ყველა ყველა განკარგულება და დეკრეტს უნდა ადასტურებდეს სათანადო სეკრეტარი. თვითეული სეკრეტარი ყოველ წლივ ანგარიშს აძლევს კონგრესს თავის საქმეთა მდგომარეობის შესახებ.

ფედერაციის სამოსამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ უმაღლესი სამოსამართლო პალატა და საოლქო სასამართლოები. უმაღლეს სამოსამართლო პალატის წევრს ირჩევს ხალხი არაპირდაპირ ექვსი წლით. ის უფლებისმეტყველი უნდა იყოს.

სენატორები, დეპუტატები, უმაღლესი სამოსამართლო პალატის წევრები, სახელმწიფო სეკრეტრები პასუხს აგებენ ჩვეულებრივ დანაშაულისათვის და შეცდომებისათვის. პოლიტიკური პასუხისმგებლობა კონგრესის წინაშე არ არის. პრეზიდენტი პასუხისმგებელია კონსტიტუციისა და კანონების დარღვევისათვის. უმაღლეს მოხელეთ არავითარი კონსტიტუციური პრივილეგია არა აქვთ.

შტატებს აქვთ მართვა გამგეობის **სახალხო, წარმომადგენლობითი რესპუბლიკანური ფორმა.** თვითონ იმუშავებენ კონსტიტუციას, ისინი უძღვებიან ადგილობრივ თვითმართველობის საქმეს, რომელიც შეზღუდულია უფლებრივად.

კონსტიტუციის გადასინჯვას სწყვეტს გენერალური კონგრესი წევრთა $2/3$-ის უმრავლესობით და იწონებს შტატების საკანონმდებლო კრებათა უმრავლესობა.

სახელმწიფო და ეკლესია ერთიერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან. ქორწინება სამოქალაქო ხელშეკრულებაა.

მექსიკა პოლიტიკურათ ერთობ მერყევი ქვეყანაა. რევოლიუცია და აჯანყება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამიტომ აღიარებულია, რომ კონსტიტუცია ხელშეუხებელია, იგი რჩება ძალაში მაშინაც კი, როცა აჯანყება დროებით არღვევს მის მოქმედებას. **ნ. საქარელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და რუს ინტელიგენტ ქალებს შორის ხდება, ფაქტიური შეუღლება, იმ მიზნით, რომ რუსეთიდან გასვლის ნებართვა მიიღონ.

იტალიაში მუშათა გამოსვლები. რომი. 1 ოქტ. „სეკოლო“ იუწყება: იტალიის მუშათა მოძრაობაში ტრაგედია და კომედია ერთმანეთზე არის გადაწნული. მუშები, რომლებმაც ქარხნები დაიკავეს და მათი სოციალიზაცია გამოაცხადეს, თავის ამარა დარჩნენ. მუშებმა მილანის სამრეწველო რაიონში 160 ქარხანა დაიკავეს. ამასთანავე თითო ქარხანაში დაახლოვებით 200-დან რამოდენიმე ათასამდე მუშა მუშაობდა. უკანასკნელ დღეებში მოწოდება გამოუშვეს ენერგიულ მუშაობის დაწყების შესახებ. ბრძანებას მუშები მტრულად შეხვდნენ. ინჟინრები და ტეხნიკები ფაბრიკებში აღარ შედიან, რამაც მუშაობა მეტად დააბრკოლა. შესწყდა ნედლი მასალის მიწოდება. განხეთქილება და უკმაყოფილება ფულის ნაკლულევანებამ და შრომის ხელფასის მიუცემლობამ გამოიწვია. ამიტომ მუშებმა გადასწყვიტეს დათმობაზე წასვლა და ქარხნის მეპატრონეებთან მოლაპარაკება გამართეს. მოლაპარაკება მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით სწარმოებს. გაზეთების ცნობით ქარხნებს მოქმედება უკვე შეწყდა.

საბჭოთა რუსეთში

ტაქტიკური ცენტრის გასამართლება. მოსკოვი. სექტემ. 29. „პრავდა“ (№ 184) აქვეყნებს დადგენილებას ეგრედ წოდებულ ტაქტიკურ ცენტრის საქმის შესახებ. უკანასკნელ სხდომაზე მოწმეთ გამოვიდა ტროცკი, რომელიც თავის ჩვენებაში ამტკიცებდა, რომ ერთ ერთმა ბრალდებულთაგანმა მურავიოვმა გენერლურ შტაბის ყოფილმა ოფიცერმა, რეაქციონერმა და კონტრ-რევოლიუციონერმა რწმენით, გადაწყვიტა სინდისიერად ემსახურა საბჭოთა მთავრობასთანა. ტროცკის შემდეგ გამოვიდა ბრალმდებელი კრილენკო, რომელმაც აღნიშნა, რომ „ტაქტიკური ცენტრი“ საბჭოთა წინააღმდეგ მიმართულ ფრონტს ქმნიდა. კრილენკომ ბრალდებულთა მურავიოვისა, ურუსოვისა, კონდრატიევისა, დეიშტეინისა და ხარუზინოვის გამართლება მოითხოვა. ჩალიკინის, კაშკინის, ტოპარკოვის, მურალოვიჩის და კარტეროვის შესახებ კრილენკო იმ აზრის იყო, რომ ვინაიდან ისინი საბჭოთა მთავრობისათვის საშიშ ელემენტებს წარმოადგენენ, ამიტომ ისინი ვრანგელის ფრონტის მოსპობამდე კონცენტრაციულ ბარაკებში უნდა იქნენ მოთავსებული. მელგუნოვის, ლეონტიევის, პროფ. შჩეპკინის და ტრუბეცკოის შესახებ კრილენკო დახვრეტას მოითხოვდა. იმ პირთა შესახებ კი რომლებიც ბრალდებულთა სიაში იყვნენ მოხვედრილი მაგრამ ამ ჟამად რუსეთში არ იმყოფებოდნენ კრილენკო საბჭოთა რუსეთიდან სამუდამო გაძევებას მოითხოვდა. ასეთ პირებს ეკუთვნიან: ასტროვი, მიაკოტინი, ჩაიკოვსკი, გურშელმანი, ტიხომიროვი, სტროგოვი, ფედოროვი, სტრუვე, გურკო, კრივოშეინი, ოზაროვიჩი, და ტიტოვი. დასასრულ კრილენკომ აღნიშნა, რომ ამ პროცესში გარეული არის რუსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ოდესღაც ხალხთა უფლებიანობის ლოზუნგებით გამოდიოდენ, ახლა კი შავ გენერლების მოკავშირენი გახდენ. უფრო გამოჩენილ პირთა შესახებ კრილენკომ ის აზრი გამოსთქვა, რომ მათი დახვრეტა რუსეთიდან გაძევებით უნდა შეიცვალოსო. ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ უმაღლესი რევოლიუციონური ტრიბუნალი აღიარებს, რომ ეს პირებს საზღვარ გარეთ საბჭოთა რუსეთისათვის არავითარი ზიანის მოყენება აღარ შეეძლებათ. კრილენკოს სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის ძალით ყველა ბრალდებული დამნაშავეთ იქნა ცნობილი და დახვრეტა მიუსაჯეს. მაგრამ შჩეპკინს, ლეონტიევს, მელგუნოვს და ტრუბეცკოის თანახმად პირველ მაისის ამნისტიისა დახვრეტა 10 წლის იძულებითი სამუშაოთი შეუცვალეს. დანარჩენებს კი სამოქალაქო ომის დასრულებამდე ბარაკებში დამწყვდევა მიუსაჯეს. ზოგიერთი ბრალდებული კი და მათ შორის მურავიოვი და ურუსოვი სრულიად გაანთავისუფლეს. (ლდ).

ახალი ამბები

ეკონომიური თათბირი. 13 ოქტომბერს ქ. თფილისის საბჭოს დარბაზში შესდგა ეკონომიური თათბირი, რომელზედაც საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებები გააკეთეს ნ. ჟორდანიამ და ნ. ხომერიკმა. თათბირს დაესწრო აგრეთვე კარლ კაუცკი, რომელმაც თათბირის მონაწილეთა თხოვნით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და თავის მხრივ თათბირს მიუთითა მთელ რიგ პრაქტიკულ ზომებზე შექმნილ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

◆ **მცხოვრებთა აღწერა.** ქალაქის საბჭომ საბინაო განყოფილებას თფილისის ცენტრალურ რაიონში მცხოვრებთა აღწერა მიანდო. აღწერას მიზანია გამოარკვიოს იმისა, თუ რამდენი და რომელ სახლში შეიძლება იმ მოქალაქეთა ჩასახლება, რომელთაც ბინა ესაჭიროებათ.

◆ **ძვირფას ნივთების გადაცემა.** მთავრობის სხდომაზე მოსმენილ იქნა მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი შემდეგი ცნობა: „თანახმად თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს დადგენილებისა, გადაწყვეტილია გადასცენ რესპუბლიკის ფონდისათვის ის ნივთები, რომლებიც კომიტეტის კასაში არის: ვერცხლის წმინდა გიორგის ჯვარი—382 ცალი, ვერცხლის მედალი—220 ცალი, წმინდა ანნას და სტანისლავის ორდენები ოქროთი მოვარაყებული—14 ცალი, გულის ნიშნები ვერცხლის—6 ცალი, ოსმალეთის ორდენი ვერცხლის—1 ცალი, დიდი ვერცხლის მედალიონები მუყაითობისათვის მიცემული 4 ცალი, ჩვეულებრივი ვერცხლის მედალიონები 1000 ცალი, ვერცხლის ჯვარი—3 ცალი, საათის ვერცხლის საბურავი—2 ცალი. გთხოვთ ნივთების მისაღებათ რწმუნებულის გამოგზავნას“. მთავრობამ მოისმინა რა ეს განცხადება დაადგინა გამოუცხადოს აღმასრულებელ კომიტეტს მადლობა და მთელი მიწერილობა კი სისრულეში მოსაყვანათ გადაუგზავნოს ფინანსთა სამინისტროს.

◆ **სახელმწიფო შემოსავალი.** თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა სახელმწიფო ხაზინაში სექტემბრის პირველ ნახევარში სახელმწიფო შემოსავლის სახით 94,499.160 მან. შემოსულა. ამ თანხიდან საექციზო გადასახადის სახით შემოსულა 80.178.990 მან., საბაჟო გადასახადის სახით კი 2 536 499 მ. შედარებით წინანდელ თვესთან სახელმწიფო გადასახადის შემოსვლა ხაზინაში 32.421 526 მან. გადიდებულა. საბაჟო გადასახადის სახით ამ თვეში შემოსულა ნაკლები, ვიდრე წინეთ. ეს ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვით აიხსნება.

◆ **კვირას** 17 ოქტომბერს სახალხო სახლში გაიმართება სალამო გარდაცვლილ პოეტ ნ. ჩხიკვაძის ობლების სასარგებლოთ. სალამოში მონაწილეობას იღებენ ივ. გომართელი, გრ. რობაქიძე, თაგუნა, ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, გოცირიძე და სხ. წარმოდგენილ იქნება 2 მოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, გაიმართება აგრეთვე კონცერტი და დეკლამაცია.

◆ **შრომის სამინისტროში.** არსენალში. არსენალის ადმინისტრაციამ აუწყა შრომის სამინისტროს, რომ არსენალის პატრონა-ყუმბარათა სახელოსნოების მუშათა საერთო კრებამ დაადგინა წინადადება მისცეს ადმინისტრაციას, რომ მან ქარხნის კომიტეტის წევრებს ზედმეტი სამუშაოსათვის მისცეს ფული. ზედმეტი დრო უნდა განსაზღვროს საქარხნო კომიტეტმა. არსენალის ადმინისტრაცია აუწყებს რა ამ დადგენილებას შრომის სამინისტროს, კითხულობს უნდა შესრულოს, არა მან მუშების ასეთი დადგენილება. შრომის სამინისტრომ არსენალის ადმინისტრაციას განუმარტა, რომ მან უნდა მისდიოს იმ წესრიგს, რომელიც ხელფასის მიცემაში არის დაწესებული. ამ წესების თანახმად კომიტეტის თავმჯდომარე ღებულობს ჩვეულებრივ ხელფასს. ამასთანავე შრომის სამინისტრომ მუშების ასეთი მოთხოვნილების შესახებ აცნობა მეტალისტთა პროფ. კავშირის გამგეობას. ამასთანავე შრომის სამინისტრომ აღნიშნა, რომ თუ ქარხნის კომიტეტის წევრები ეწევიან საზოგადოებრივ მუშაობას, ეს მათ უნდა აუნაზღაუროს თვით მუშებმა და არა ადმინისტრაციამ.

◆ **კაუცკის ნომერი.** შაბათს გამოვა „ეშმაკის მათრახის“ ნომერი კარლ კაუცკის პატივსაცემათ. ნომერში მოთავსებულია მრავალი კარიკატურები და წერილები.

◆ **სტუდენტთა კოოპერატივი.** (რუსთაველის პროსპექტი № 40 ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გვერდით) იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში საკოსტიუმე—საფრენჩე მატერია და სხვა მანუფაქტურა.

◆ **კვირას,** 17 ოქტომბერს, გორში სამაზრო ერობის თაოსნობით მოწვეულია თათბირი ცხინვალის რკინის გზის, ტირიფონის ველის და დოლღაურის არხების შესახებ. თათბირზე მოხსენებას გააკეთებენ ცხინვალის რკინის გზის გამოკვლევის შესახებ ინჟინერი მამაცაშვილი, არხების გამოკვლევის შესახებ წყალთა სამმართველოს ინჟენერ ჰიდრავლიკები. თათბირს შეუძლიან დაესწროს ყველა, ვისაც აინტერესებს ზემოდ აღნიშნული საკითხები.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში,** შაბათს, 16 ოქტომბერს ამავე კლუბთან არსებულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება ს. ჭანტურიშვილის „მარეხი“ ადგილების ფასი 150 50 მან. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს 15 ოქტომბერს ქართულ წარ. მარ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მსხვერპლი გედევანიშვილისა. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **რკინის გზელების მომარაგება.** რკინის გზელთა კავშირის სასურსათო განყოფილება რკინის გზელებს იაფასიან შაქარს, ჩაის, ბრინჯს, მარილს და ასანთს ურიგებს. ამასთანავე კომიტეტი შეუდგა ესპანეთიდან მიღებულ მანუფაქტურის, ფეხსაცმელების და თბილ საცვლების მოსამსახურეთა და მუშებზე შორის დარიგებას. სასურსათო განყოფილება იუწყება რომ იგი ახლო ხანებში საზღვარ გარედ გასატან შპალების დასამზადებ ქარხანას ხსნის.

◆ **სატარიფო პალატაში.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) დაამტკიცოს საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს მიერ სექტემბერ. 13 დამტკიცებული ტარიფი ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის მუშებისა და მოსამსახურეებისა, 2) დაამტკიცოს ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირები.

◆ **ქალაქის საქმეები.** ქალაქის საბჭომ. სამხედრო სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა ღარიბ სტუდენტთა თავშესაფარის მოსაწყობად ყოფილ საპიონერო ბატალიონის შენობის გადაცემის შესახებ.

◆ **სამხედრო სამინისტროში.** სამხედრო სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციის უფროსის ხელის მოწერით გამოქვეყნდა ბრძანება, სადაც განმარტებულია ჯარში კულტურულ განმანათლებელ მუშაობის მიზნები. ბრძანებაში სექციის უფროსი ყურადღებას აქცევს დემოკრატიულ რესპუბლიკის შეგნებულ დამცველთა შექმნის საკითხს. სამხედრო ბეგარა მოხდილი ჯარის კაცი ასეთი მუშაობის წყალობით დაბრუნდება შინ შეგნებულ მოქალაქეთ. ამ მიზნის შესრულებისათვის საჭიროა მასწავლებლები და ინსტრუქტორი ოფიცრები, რომლებიც გააცნობს ჯარის კაცებს სხვადასხვა საგნებს და განუმარტავს სამხედრო დისციპლინის მნიშვნელობას. ამგვარად ერთი მხრის დახმარებით შეიქმნება ურყევი ფრონტი და გამაგრებული ზურგი, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკას ყოველგვარ გარეშე საფრთხისაგან. ამასთანავე ინსტრუქტორებისა და მასწავლებლებს დაეგზავნათ საანკეტო ფურცელი. ანკეტას უნდა გამოარკვიოს: 1) რამდენია ჯარის ნაწილში წერა-კითხვის უცოდინარი. რამდენს ასწავლეს, რამდენი ლექცია და საუბარი გაიმართა. 2) რა წიგნები წაუკითხეს ჯარისკაცებს. 3) რა უშლის ხელს ასეთ მოღვაწეობას და სხვ.

კრებები.

კვირას 17 ოქტომბერს დილის 10 საათზე შრომის ბირჟის შენობაში გამართული იქნება ამხ. ელბაქიძის მოხსენება შემდეგ თემაზე: მუშების უფლება შრომის ხელშეკრულების კანონით“.

შესვლა უფასოა. პროფესიონალურ კავშირების გამგეობებს და კავშირების წევრებს სთხოვენ დაესწრონ ამ მოხსენებას.

— დღეს, 15 ოქტომბერს, შესდგება ჩუღურეთის მცირე კოლექტივის საერთო კრება პარტიის წევრების დასწრება აუცილებელია.

პროვინციის ქრონიკა.

ქ. ხაშური. შაბათს 16 ოქტომბერს ხაშურის მუშათა კლუბში—ადგილობრივის დრამატიული წრის ინიციატორობით გაიმართება დამსახურებულ სცენის მოყვარის ნიკოლოზ ანდრიას ძე თედორაშვილის 15 წლის სცენო მოღვაწეობის საიუბილეო დღესასწაული, დღესასწაულის პროგრამა ფრიად შინაარსიანია. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

კ. კაუცკი გვარდიის გარაჟში

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გარაჟის და სახელოსნოების მუშებმა 11 ოქტომბერს მოიწვიეს კარლ კაუცკი გარაჟის და სახელოსნოების დასათვალიერებლათ. 4 საათზე მოვიდენ სახ. გვარდიის მთავარი შტაბის წევრები ამხ. ვ. ჯუღელის მეთაურობით 4 ½ ს. მოვიდა ამხ. კარლ კაუცკი, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდენ მუშები ამხ. ა. ფარნიევის მეთაურობით. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ლ. კიკნაძემ, რომელმაც განაცხადა:

სოციალიზმის სამეუფოში ნათელ ცხოვრების დიადო მოციქულო, მოგესალმებით სახელოვან სახალხო გვარდიის გარაჟის და სახელოსნოების მუშების სახელით. რამოდენიმე ხნის წინად, დესპოტიურ ცარიზმის დამხობამდე ამ კედლებში, ყოფილ მეფის ყაზარმებში მუშებსა და გლეხებს სწვრთნიდენ მკვლელობისა და განადგურებისთვის, ეხლა კი მაშინდელ ბოროტების და განადგურების სკოლის ნანგრევებზე მუშები ჰქმნიან კეთილ შემოქმედების ახალ შენობას. მთელ განათლებულ ქვეყნებს მოწყვეტილი საქართველოს რესპუბლიკის მუშები, თუმცა მოკლებულნი არიან თავის მისწრაფებებში ევროპიელ ამხანაგების რეალურ დახმარებას, გარშემორტყმულნი არიან მრავალ მტრებით და საკუთარ ძალების ანაბარა არიან მიტოვებული, მაგრამ მაინც არ ეცემიან სულით და ბრწყინვალე მომავლის რწმენით დაუღალავათ მუშაობენ ახალი დემოკრატიულ ცხოვრების შექმნელათ და მეტის მეტათ მძიმე მატერიალურ პირობებში, ტეხნიკურ საშუალებათა უქონლობის დროს, თანდათანობით ყაზარმებს ფაბრიკა-ქარხნებათ ჰქმნიან.

საქართველოს მუშები, რომლენიც ეხლა დაზგებთან და გრდემლებთან ცეცხლსა და რკინისაგან ბედნიერებას და კეთილდღეობას უჭედავენ აბსოლიუტიზმის მძიმე კირთებისაგან განთავისუფლებულ ქართველ ხალხს და შეაქვთ თავის წვლილი მსოფლიო პროლეტარიატის მიერ აღთქმულ ქვეყნის მოპოვების საქმეში, ერთი წამითაც კი არ ივიწყებენ თავის მეორე მოწოდებასაც. საქართველოს მუშათა ოჯახის საუკეთესო წევრთაგან შემდგარი სახალხო გვარდია ქართველ ხალხის სახელოვან წინამძღოლების პირველ დაძახებისთანავე მზადაა შეასრულოს თავის მოვალეობა და მოსეულ მტრის წინააღმდეგ შრომის იარაღი სიკვდილის იარაღით გადააქციოს.

ქ. კაუცკიმ უპასუხა, რომ ის ხედავს და მან უწყის, თუ რა მძიმე პირობებში უხდება მუშაობა საქართველოს დემოკრატიას, მაგრამ ვიცნობ აგრეთვე ქართველი ხალხის ძლიერ სულს და მჯამს, რომ იგი დასძლევს ყველავე დაბრკოლებას ევროპის დემოკრატიასთან შესაკავშირებლათ.

აქ კარლ კაუცკის გადასცეს მხატვრულად შესრულებული სურათი წარწერით: „ჩვენ მამა-მასწავლებლის შეუდარებელ წინამძღოლის ნოეს სურათი—სოციალიზმის დიად მასწავლებელს—კარლს“.

ამის გამო კაუცკიმ სთქვა, რომ ნოე ჟორდანიას კარგად იცნობს ის და ევროპა მისი ნაშრომებით, ხოლო დღეიდან რაკი მისი სურათი გვექნება უფრო ახლო გვეცნობაო.

მ. რუხაძემ მიუძღვნა თაიგული კაუცკის მისი მეუღლისათვის გადასაცემათ და უსურვა მას მორჩენა.

კაუცკიმ აქ სთქვა, რომ მშვენიერ საქართველოს დემოკრატიას უსურვებს, რათა სამშობლოსა და პროლეტარიატის საერთო საქმისთვის მისმა მუშაობამ ისეთივე კარგი ნაყოფი მოიტანოს, როგორც მშვენიერია ეს ვარდებიო.

შემდეგ გადაიღეს ფოტოგრაფიული სურათი მუშებისა, რომელთა შუა გულში ადგილი დაიჭირა ქ. კაუცკიმ. დასასრულ დაათვალიერა გარაჟი და სახელოსნოები და გაეცნო შრომის პირობებს. დათვალიერებამ კაუცკიზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და უსურვა მუშებს წარმატება მიუხედავათ მძიმე პირობებისა. 5 საათზე „გაუმარჯოს“ ძახილით კაუცკი გააცილეს.

უცხოეთი

გერმანია.

კარლ კაუცკის აზრი მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების საკითხის შესახებ.

იმის გამო, რომ გერმანიის დამოუკიდებელთა შორის სწარმოებს კამათი მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების საკითხის შესახებ, კარლ კაუცკიმ გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ მას არ სურს მონაწილეობის მიღება ამ კამათში, თუმცა კამათში ეხებიან მის პიროვნებასაც. ის მიუთითებს თავის მომავალ მოგზაურობაზე საქართველოში. საქართველოს მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საერთოდ კი მისი შეხედულებები ყველამ იციან. არ არის არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ კამათის დროს წარმოსდგება რაიმე ახალი საკითხები.

პოლონეთი.

პოლონეთის იმპერიალიზმი.

პარიზის გაზეთის „ინფორმასიონის“ ვარშავის კორესპონდენტმა გაზეთის 31 აგვისტოს ნომერში დაბეჭდა თავისი საუბარი მარშალ პილსუდსკისთან, რომელმაც განაცხადა, რომ რაკი ფრონტი მეტად გაფართოვდა და პოლონეთის არმია რიცხვით მეტია მტრის ჯარზე—ამიტომ ის შეუძლებლათ სთვლის პოლონეთის არმიისათვის წმინდა—მოგერიებით ტაქტიკით დაკმაყოფილებას, როგორც ეს სურს ანტანტას. თუ პოლონეთი შეაჩერებდა თავის შეტევას იმ ხაზზე, რომელიც ნაჩვენებია ანტანტის მიერ, ამას მაშინ იმნაირათ ახსნიდენ, თითქოს პოლონეთი დაკმაყოფილებულია საზღვრების ამ ხაზით.

აბდუშელიშვილების დეპეშის გამო

გაზეთ „ერთობის“ მე-229 ნომერში იყო მოთავსებული დეპეშა სოფელ ბუდნევიდან ამბაკო, ალექსანდრე, გიორგი, ვასილ და კონსტანტინე აბდუშელიშვილების ხელმოწერით. დეპეშა მიმართულია მთავრობის თავმჯდომარისა და სენატისადმი. ავტორები მოითხოვენ მათ ვითომდა უსამართლობისაგან დაცვას და მამულ „დიდველზე“ მფლობელობის აღდგენას.

საქმის გარემოების უცოდინარს ეგონება, რომ ხსენებულ აბდ—ბზე ადმინისტ. ძალმომრეობას ხმარობს და უსამართლობა ჩადის. რადგან ამ საქმეს აქვს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს ავხსნა როგორც საზოგადოებას ისე იმ პირთა და დაწესებულებათ, რომლებსაც მიმართულია ხსენებული დეპეშა საქმის ნამდვილი ვითარება. ხსენებულ დავას აქვს თავისი ისტორია. სოფელ ბუდნევში მდებარეობს მინდორი სახელწოდებით „დიდველი“, სივრცით დაახლოვებით 60 ქცევა. მინდორი სოფელს შუაზე ყოფს. მინდორის მაღალ ადგილზე არის ძველი ჯერ კიდევ დაურღვეველი ციხის კედლები. ეს ციხე პირდაპირ უყურებს საჩხერის „მოდ. ნახის“ ციხეს და როგორც სჩანს, არის ერთი მისი ფორპოსტთაგანი ეს ადგილი ყოფილა მუდამ მინდვრათ ის დატოვებული, ყოფილა სათემოდ, საომრად და სალხინოთ. წინეთ აზრათაც არავის მოსვლია მისი მისაკუთრება. მითი სარგებლობდა მთელი სოფელი, საზოგადოება და შეიძლება თვით ერიც.

ეს ათი—თუთხმეტი წელიწადია, რაც გაცხარებულმა მემამულეებმა ასტეხეს დავა ამ ადგილის შესახებ. დავა ასტყდა ზედა და ქვედა აბდუშელიშვილებ შორის. ქვედა ნაწილმა მოინდომა ამ ადგილის მისაკუთრება. დაიწყო მისი მტკიცება, რომ ეს მხოლოდ მათ საკუთრებას შეადგენს. ზედა აბდუშელიშვილები ამტკიცებდენ, რომ ისინიც მონაწილენი არიან ამ ადგილისა. 1913 წელში მე ჩავერიე ამ საქმეში პრესის საშუალებით, მივუთითე მეზობლებს რომ ეს ადგილი არავის კერძო საკუთრებას არ შეადგენს, რომ ის მთელი საზოგადოების კუთვნილებაა. მივმართე მათ, ვსთხოვე თავი დაენებებიათ ამ დავისათვის, და ეს ადგილი გადაეცათ სამეურნეო სკოლისათვის.

რევოლიუციის შემდეგ ამ დავამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, რის შემდეგ მთელმა ჩვენმა სოფელმა (გარდა ქვედა უბნელ აბდუშელიშვილებისა) თხოვნით მიმართა მიწათ მოქმედების სამინისტროს რათა ის ჩარეულიყო ამ დავაში და ეს ადგილი, როგორც კულტურული მნიშვნელობის მქონე, ჩარიცხა სახელმწიფო ან საერთო ფონდებში, იმ პირობით რომ მასზე აგებული ყოფილიყო სამეურნეო სკოლა.

სამინისტრომ და ერობამ გამოიძიეს საქმე და როცა დამტკიცდა, რომ ადგილი არავის კერძო საკუთრებას არ შეადგენდა და ქონდა უაღრესი კულტურული მნიშვნელობა მიიღო ერობის კულტურულ ფონდში.

საქმის ასეთმა დაბოლოვებამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია მთელი საზოგადოების. დაჩქარებით იქნა არჩეული სასკოლო კომისია, რომელიც შეუდგა სკოლის საქმეს. მაგრამ ქვედაურმა აბდუშელიშვილებმა შესძლეს ადმინისტრაციის ინსპექტორის შეცდომაში შეყვანა და შეაჩერებინეს ერობის ხსენებული განკარგულება.

ერობამ ეს საქმე სენატში გადაიტანა მიმდინარე წლის 4 თებერვალს სენატმა გაარჩია და გააუქმა ადმინისტრაციის განკარგულება და მისცა ერობას უფლება განეგრძო თავისი მუშაობა ამ საქმეში. ამის შემდეგ ეს საქმე გაარჩია ქუთაისის საოლქო სასამართლომ და გამოიტანა სენატის საწინააღმდეგო დადგენილება, რომლის ძალითაც ადგილი ქვედა აბდუშელიშვილების საკუთრებათ მტკიცდებოდა.

ამ ორი თვის წინათ ადმინისტრაციამ მოინდომა სენატის დადგენილების სისრულეში მოყვანა და შეუდგა ლალის აღებას, რამაც გამოიწვია ზემოხსენებული აბდუშელიშვილების პროტესტები და აღნიშნული დეპეშაც.

მამულს აქვს დიდი კულტურული მნიშვნელობა. ის ძლიერ ნაყოფიერია, მასში არის აგრეთვე წყალი და გამოულეველი ქვა. ის სრულიად საკმარისია სამეურნეო სკოლისათვის და თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენას კულტურის მხრით მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ხალხისათვის. ასეთი ადგილი კერძო საკუთრებასაც რომ შეადგენდეს მაშინაც კი ის უსათუოთ სახელმწიფომ ან ერობამ უნდა შეიძინოს. მით უმეტეს დაუშვებელია მისი დაყოფა და დანაწილება. მთავრობამ და სენატმაც უნდა ეცადონ რათა ეს ადგილი კულტურულ საქმეს მოხმარდეს. საინტერესოა, რომ ამ საქმესთან ძალიან დაახლოვებული არიან ისეთი შეგნებული პირები, როგორც მაგალითათ: ივ. ვართაგავა, გრ. ბარათაშვილი, ვირსალაძე, ზაქ. მეჭავარიანი და ხაბურზანია. ყველა ეს პირები იმის მაგიერ რომ დააჯერონ თავიანთი მეზობლები და ხელი შეუწყონ ასეთი კულტურულ და სასარგებლო საქმეში პირიქით, აქეზებენ უფრო შეუგნებელ მეზობლებს და ხელს უშლიან მათ, ვინც ცდილობს ამ საქმის მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლოთ დაგვირგვინებას. ამ საქმით ძალიან დაინტერესებულია მთელი ჩვენი რაიონი. ხალხი იმედოვნებს, რომ დემოკრატიული მთავრობა და უაღრესი სასამართლო—სენატი ბოლოს მოუღებს ამ ვებატონების აპეტიტებს და დააკმაყოფილებს ხალხის სურვილს. ხალხს სწყურია დაინახოს ამ ადგილზე ის სამეურნეო სკოლა, რომელსაც ის რამოდენიმე წელია ელის. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ სენატი და მთავრობის თავმჯდომარე უყურადღებოთ დასტოვებენ ერთი მუჭა მემამულეთა უსამართლო ჩივილს და მოიყვანენ სისრულეში მას, რაც სამართლიანათ დაიწყო შორაპნის ერობამ და მიწათ მოქმედების სამინისტრომ.

შ. აბდუშელიშვილი.

P. S. ვსთხოვ ეს წერილი გადაბეჭდონ ყველა იმ გაზეთებმა, რომლებშიაც ხსენებული დეპეშა იყო მოთავსებული.

შ. აბ—ი.

კოოპერატიული წარმოება და განაწილება

რამდენადაც შეგნებული, სწორი და მიზანშეწონილი იყო ჩვენი მოქმედების ხაზი პოლიტიკაში, იმდენათ უფრო ძნელი აღმოჩნდა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა ახლო წარსულში. ამისი მიზეზი იყო და არის ის არაჩვეულებრივი, მეტათ რთული კრიზისი, რომელიც მთელ ქვეყანასთან ერთად მეტის სიმწვავით დაატყდა ჩვენს რესპუბლიკას.

ეს ადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ ჩამორჩენას, საწარმოო ძალის განუვითარებლობას და კულტურულათ დაქვეითებას შედარებით ევროპასთან.

ყველა ამ სიძნელეთა დაძლევა ევალება დემოკრატიას, განსაკუთრებით კი მის [illegible] მუშათა კლასს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებული შეიქმნება ხელი აიღოს თანამედროვე გარდამავალი ცხოვრების მესვეურობაზე, მის გარდაქმნაზე.

პოლიტიკურათ საკმაოთ აღზრდილმა და გაწვრთნილმა ჩვენმა მუშათა კლასმა შეგნებულათ უნდა მოჰკიდოს ხელი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს,ააყვავოს, განავითაროს ისინი და მათი საშუალებით გაამრავლოს სახალხო სიმდიდრე. აი მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ჩვენ თავი დავახწიოთ სიძვირესაც, სპეკულიაციასაც, ეკონომიურ ფინანსიურ კრიზისსაც.

ამ მხრივ მუშათა კლასს ბევრის გაკეთება შეუძლია მუშათა კოოპერაციის განვითარებით. კოოპერატიული წარმოება და განაწილება სიმდიდრისა,—აი საითკენ უნდა იყვეს მიპყრობილი მისი მთავარი ყურადღება ამ ჟამათ.

კოოპერატიულმა მოძრაობამ ჩვენში საპატიო ადგილი დაიჭირა: მისი საშუალებით სახალხო საკუთრებათ მრავალი სიმდიდრეც დაგროვდა; კოოპერატიულ კავშირებს აქვთ თავისი წარმოებაც.

მაგრამ მიმდინარე ეკონომიურ-ფინანსიურმა კრიზისმა, რომელიც უფრო ვითარდება, მასაც თავისი მომაკვდინებელი დაღი დაასვა. უსაქონლობამ და უფულობამ ლამის არის ჩაკლას ჩვენში კოოპერატიული საქმიანობა. სოფლათაც და ქალაქათაც ბევრგან კოოპერატივები კიდევაც იხშობა.

საერთო მიზეზებთან ერთად ამისი მიზეზია ის გარემოებაც, რომ თემებმა, ერობებმა, ქალაქის თვითმართველობებმა და მათმა კავშირებმა ხელთ აიღეს ისეთი საქმიანობა, რომელიც კოოპერატივების საზრუნავს წარმოადგენს. მთავრობამაც, თვითმართველობებმაც და თვით დემოკრატიამაც თითქოს ზურგი შეაქცია კოოპერატივებს, რომლებსაც ზოგან ზედ მეტ ბარგათაც კი აღიარებენ.

ასეთი მოვლენა თავის მხრივ ართულებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელსაც ჩვენ განვიცდით.

თვითმართველობათა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, როგორც საჯარო უფლების მატარებელთა, ფუნქციები და მოვალეობანი სასტიკად უნდა იქმნას გამიჯნული კოოპერატიული საქმიანობისაგან.

პირველ მოთხოვნილების, მასსიური ხასიათის საგნების წარმოება და მათი განაწილება უმთავრესათ კოოპერატივების ხელში უნდა გადავიდეს. საჭიროა, რომ მთავრობის და მუშათა კლასის ყურადღება აქეთკენ იყვეს მიქცეული.

მუშებმა კოოპერატივების საშუალებით პირდაპირ, უშუალოთ თვითონვე უნდა მოკიდონ ხელი პირველ მოთხოვნილების საგნების დამზადება-განაწილების საქმეს. კოოპერატივები მათ საშუალებას აძლევენ სრული თვითმოქმედებისას, კონტროლისას, საჭირო საგნების დამზადება განაწილებისას.

ქალაქის მუშებს კოოპერატიული წარმოებით შეუძლიათ აამუშაონ, მგზავსათ ევროპიელი მუშებისა, ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, სადაც ფართლეულობას და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნებს დაამზადებენ. კოოპერატიულ საზოგადოებათა და მათ კავშირთა საშუალებით ქალაქის მუშებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებაც და ფართლეულობა მიაწოდონ სოფლის კოოპერატივებს. ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საშუალებით სოფლის მუშებს შეუძლიათ თავისი ნაწარმოები პირდაპირ, ამ კავშირების საშუალებით ქალაქის მუშათა კოოპერატივებს მიაწოდონ.

ამ გზით კოოპერატივების საშუალებით ქალაქის და სოფლის მუშებს შეუძლიათ უშუალოთ, უსპეკულიანტებოთ შეკრან მტკიცე ეკონომიური კავშირი.

მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ განხეთქილებას, იმ საყვედურებს, რაც დღესაც არსებობს ჩვენი სოფლისა და ქალაქის მუშებს შორის. კოოპერატიული ფაბრიკა ქარხნებით ქალაქის მუშები თვითონაც ჩაიცვამენ და დაიხურავენ და სოფელსაც სიტიტვლისაგან და სიცივისაგან გადაარჩენენ; ხოლო სოფლის მუშები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საშუალებით ქალაქის მუშებს ყველა თავის ნაწარმოებს მიაწოდებენ.

ამიტომაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეძლევა კოოპერაციას.

ი. ირემაშვილი.

ნოტარიალური კანტორების მუნიციპალიზაცია და იურიდიული დახმარება

ნოტარიალურ კანტორებზე სათანადო წრეებშიაც აღუძრავთ ლაპარაკი. უკვე დადგომიან იმ აზრს, რომ ნოტარიალურ კანტორების არსებობა დღევანდელი მათი სახით, ყოვლად შეუძლებელია. ეს გარემოება კი უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ ნოტარიატის საქმე მოგვარდება, თორემ ის, რაც აქამდე და ეხლაც არის, ყოვლად დაუშვებელია: ნოტარიატის საქმე მონოპოლიათ გაუხდია რამოდენიმე პირს თავიანთ საკეთილდღეოთ.

ძველ რეჟიმის დროს ბევრჯერ აღუძრავთ საკითხი ნოტარიატის რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ამაოდ. „პრავო“ 1913 წ., № 18 ერთ-ერთი ავტორის პირით თავის განცვიფრებას გამოსთქვამდა იმის შესახებ, რომ დიდმნიშვნელოვანი დაწესებულება, როგორც არის ნოტარიატი, კერძო, ხშირათ უღირს, ადამიანებს ჩაუგდიათ ხელში და ამას ყურადღებას არ აქცევენო *).

ჩვენში ქალაქის საიურისკონსულტო ნაწილმა ერთი წლის წინეთ წარუდგინა გამგეობას თავისი მოსაზრება ნოტარიალური კანტორების მუნიციპალიზაციის შესახებ, მაგრამ სხვა მწვავე საკითხებმა შთანთქეს ის.

წრეულს გაზაფხულის მიწურულში რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლებმა თავიანთ ყრილობაზე იქონიეს მსჯელობა ამავე საკითხზე და მოკლე კამათის შემდეგ მიიღეს ნოტარიალური კანტორების მუნიციპალიზაცია იურიდიული დახმარებასთან დაკავშირებით და ამ პროექტის განხორციელება მიანდვეს აღმასრულებელ ბიუროს.

დღევანდელ პირობებში, როდესაც თვითმართველობები ადგილობრივ მართვა გამგეობის ორგანოებათ არიან აღიარებული, ნოტარიატის მათი ხელში გადასვლა არ უნდა იწვევდეს არავითარი დავას.

დამეთანხმება ყველა, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ნოტარიატს. და თუ კანონმდებელი არ შეუშინდა ამ ინსტიტუტის მოწყობა თვითმართველობისათვის გადაეცა, ნოტარიატის წინაშე რატომ უნდა შედგეს ის? რას წარმოადგენს იმისთანას ნოტარიატი, რომ თვითმართველობამ ვერ შესძლოს მისი მოწყობა და გაძღოლა?

გარდა იმისა, რომ ადამიანი, მიუხედავათ მისი პოლიტიკური რწმენისა, საერთოდ კონსერვატორია, რეფორმას ერთი გარემოება მეტათ აფერხებდა.

ყველასათვის ცხადია, რომ ნოტარიალური კანტორა საშუალოზე მეტ შემოსავალს იძლევა. ბევრმა იცის ალბათ, რომ კანტორის „შოვნის“ მსურველი არავითარ ხარჯს არ დაერიდებოდა.

და აშკარაა, რომ რეფორმის წინააღმდეგნი არიან ნოტარიუსები და მათი

---

*) მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ნოტარიუსის ადგილის დასაჭერათ უმთავრესი ცენზი იყო პროტექცია.

მოკლენი. ისინი თავიანთ წინაპრების შეხედულებით გვიმასპინძლდებიან: საზოგადოებრივ ორგანიზაციის ხელში ნოტარიატი დაიღუპებაო. (იხ. „გრუზია"), რადგანაც ეს შეხედულება ცხოვრებამ გაამართლა ერთიანათ, რასაც ადასტურებს ევროპის და ნამეტურ ინგლისის ქალაქების პრაქტიკა, ამაზე აღარ შევჩერდებით.

მეორეს მხრივ საკმაოა გადაათვალიერო ნოტარიალურ დებულების ის მუხლები, სადაც ჩამოთვლილია ნოტარიუსის ვალდებულებანი და თქვენ დარწმუნდებით, რომ საქმეს არავითარი საფრთხე არ მოელის განზრახულ რეფორმის განხორციელებით.

ეს მუხლები გახლავთ ნოტ. დებ. მე 65 და მე 28. პირველში ნათქვამია, რომ ნოტარიუსის მოვალეობას შეადგენს: 1) მსურველს შეუდგინოს სხვადასხვა საქმის ქაღალდი; 2) მისცეს მთხოვნელს მასთან გაკეთებულ ქაღალდის ასლი ანუ ამონაწერი; 3) შეამოწმოს სხვადასხვა ქაღალდები; მიიღოს შესანახათ მეურველთაგან დოკუმენტები და 5) შეადგინოს ფარდის (გაყოფის) ქაღალდის პროექტი. მეორე 128 მუხლი მშრალი განმარტებაა 65 მუხლის მესამე პუნქტის და იქ ჩამოთვლილია, თუ რა ქაღალდები უნდა შეამოწმოს ნოტარიუსმა.

არც ერთი ზემოთ ნაჩვენებ ფუნქციათაგანი არ წარმოადგენს იმისთანა რამეს, რაც ნოტარიუსისაგან მოითხოვდეს დიდ ცოდნას ან ნიჭის გამოჩენას.

და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თანახმად 65 და ნამეტურ 88 მუხლისა მოქალაქე არ არის ვალდებული ამა თუ იმ ქაღალდის შედგენისათვის ნოტარიუსს მიმართოს, არამედ ეს მისი სურვილია, აშკარაა, რომ ნოტარიუსის წმინდა მოვალეობას შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ქაღალდების შემოწმება. მე 65 მუხლის უკანასკნელ პუნქტში მოხსენებულ ფარდის ქაღალდების პროექტსაც ნოტარიუსი ადგენს ოლქის სასამართლოს წინადადებით (სამ. დებ. წ. წ., 1412, 1415 მუხ) და არა თვითონ, თავისი ინიციატივით.

აქვე უნდა მივაქციო მკითხველის ყურადღება სამ. ს. წ. წ. 47, 247 და 248 მუხლებს, რომელთა ძალით ხელის მოწერის შემოწმება შეიძლება მარტო ნოტარიუსთან კი არა, არამედ მილიციაშიაც. ძველი რეჟიმის დრო ვექილების ქაღალდს სურვილისამებრ ამოწმებინებდნენ მაგ. მოსკოვში პოლიციის ანუ ნოტარიუსს. პოლიციის შემოწმება სამ შაურს არ აღემატებოდა. ჩვენში კი ამას შეუძლებლათ პოულობენ, ალბათ, ნოტარიუსების გულის მოსაგებათ. ეს კანონიერი გზა ხელისწერის შემოწმებისა აღდგენილ უნდა იქნას, ვინაიდან ეს უახლოვებს მოქალაქეთ დაწესებულებებს, სადაც ხანდახან საჭირო ქაღალდს გააკეთებენ.

ყოველ ზემოთ ნათქვამს ესეც რომ დაუმატოთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ქალაქთა კავშირის მიერ მოწონებულ მუნიციპალიზაციის შემდეგ ნოტარიუსის საქმეები შემცირდება შესამჩნევათ.

აშკარაა, რომ თუ მუნიციპალიზაცია იმ სახით განხორციელდა, როგორც ქალაქთა წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, დიდ საქმეზე ქაღალდის შედგენა სრულიად ჩამოშორდება ნოტარიუსს და მოგებული დარჩება საზოგადოება, რადგანაც უხეიროთ დაწერილ ქაღალდებს შემდეგში ადგილი აღარ ექნება.

ეს დებულება მე უდავოთ მიმაჩნია, ვინაიდან შეძლებული კლიენტი სპეციალისტს მიმართავს და ხელმოკლე კი — იურიდიულ ბიუროს, და ამ უკანასკნელი ორგანიზაციის დაუყონებლივ განხორციელება აუცილებლათ მიაჩნია ქალაქთა კავშირის პროექტს.

აღარ არის სადავო, რომ იურიდიული დახმარება საექიმო დახმარებაზე ნაკლები არ არის თავის მნიშვნელობით და, როდესაც საექიმო დახმარება ასე თუ ისე მოგვარებულია ჩვენს რესპუბლიკაში, იურიდიული დახმარება ერთიანათ მიუვიწყიათ, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის: იურიდიულ ბიუროში მოქალაქე მიიღებდა სწორ რჩევა-დარიგებას, რაც იხსნიდა მას დიდი ხარჯების გარდა, დროს, ენერგიის და ჯანმრთელობის დაკარგვისგან; მეორეს მხრივ გაჯანმრთელდებოდა ჩვენი სასამართლო, ვინაიდან სწორი რჩევა დარიგების მოწყობის შემდეგ მას ასცილდებოდა დიდძალი უიმედო საქმეები.

„ფრანკფურტის ბიურომ,—მოგვითხრობს ად. მიულერი—თავისი „მუშათა სეკრეტარიატში",—94 შემთხვევიდან 83-ში საქმე მორიგებით გაათავებინა მთხოვნელთა".

როგორც ვთქვით, იურიდიულ რჩევა-დარიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მის განხორციელებლათ კი არაფერი არ გაკეთებულა, დაპირებები კი ყოველ არჩევნების წინ აღგვითქვამს, ჩვენს პროგრამაშიც საპატიო ადგილი უჭირავს ამ საკითხს.

ქალაქთა წარმომადგენლობისთვის ნათელი შეიქნა ის დებულება, რომ ნოტარიუსის მუშაობა იურიდიული არის, ის ძლიერ უახლოვდება იურიდიულ რჩევა-დარიგებას და რადგანაც იურიდიული დახმარების მოწყობა აუცილებლათ სცნო, მან გადაწყვიტა ამ ორი, დღეს გათიშული, ნაწილების ერთს და იმავე სხეულისა შეერთება, რასაც შედეგათ ორი უტყუარი სარგებლობა მოყვება: რჩევა-დარიგების გაიაფება და მისი საყოველთაოთ გახდომა.

უეჭველია მუნიციპალიზაცია— თვით არის ხელსაყრელი, როგორც თვით მართველობისთვის, ისე მცხოვრებთათვის, მაგრამ დაუფასებელი მნიშვნელობა მუნიციპალიზაციის აქვს და შემდეგში უფრო ექნება რჩევა-დარიგების ბიუროს მოწყობის საქმეში.

მართალია, ეს ბიუროები ისედაც უნდა მოეწყო, მაგრამ არ მოეწყობილა დღემდი და არც მოეწყობა დიდხანს კიდევ, თუ ქალაქთა წარმომადგენლების მიერ განზრახული მუნიციპალიზაცია უარყოფილი იქნა.

ნოტარიალური კანტორების მუნიციპალიზაცია კი თითქმის უშრომათ, თავისთავად ახორციელებს იურიდიულ დახმარებას და სულ უხარჯოთ. პროექტის ძალით მაგ. თფილისში უნდა არსებობდეს სამი, სულ დიდი, ოთხი ნოტ. კანტორა: თავისუფლების მოედანზე, ავლაბარსა და ნაძალადევში. რადგანაც სამი შენობა უკვე ექნება ქალაქს, სადაც ნოტარიალური ქაღალდები კეთდება, მისთვის დიდ შრომას არ წარმოადგენს იქვე იყოლიოს იურიდიული რჩევა-დარიგების მიმცემი. კანტორის არსებობა პირდაპირ და ძალდაუნებურათ ადგმევინებს ამ ფრიად სასარგებლო ნაბიჯს ქალაქს. სადავო არ უნდა იყოს, რათ არსებულ პირობებში ნოტარიალური კანტორა აუცილებლივ დაფარავს თავის ხარჯებს. მაშასადამე ქალაქს უკვე აქვს მუქთი ბინა იურიდიულ ბიუროსათვის, აგრეთვე მუქთია, ან ძლიერ იაფი გადამწერი, რომელიც, რა თქმა უნდა, მარტო ნოტარიუსს არ მოუნდება. აქვე იბადება მთავარი კითხვა: თუ ნოტარიუსს არ ევალება სხვადასხვა ქაღალდების შედგენა, არამედ მარტო შემოწმება, არ შეიძლება, რომ რჩევა-დარიგება, მას დაევალოს, ნამეტურ განაპირა და მაზრის კანტორებში, სადაც სამუშაო ნოტარიუსს ნაკლები ექნება? მაგრამ ეს კითხვა დეტალების კითხვაა და ამის ასე თუ ისე გადაწყვეტა ვერ იქონიებს გავლენას მთავარ საგანზე.

ვიმეორებ, რომ ნოტარიალურ კანტორის მუნიციპალიზაციას იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენათ ის მოგვცემს ჩვენ იურიდიულ დახმარებას, რომელსაც დღემდე და ეხლაც მოკლებულია მშრომელი მასა.

მართლაც, იმას რაც აქამდე არსებობდა ოლქის სასამართლოსთან ნაფ. ვექილთა კონსულტაციის სახით, შეიძლება ყველაფერი უწოდოს კაცმა დახმარების გარდა. არ არის დახმარება იმიტომ, რომ მრჩეველი არავინ იყო იქ, გარდა საქმის მწარმოებელ ქალისა, რომელიც ან თვითონ აძლევდა რჩევას, ან და კორიდორებში დაიჭერდა თუ არა რომელიმე ვექილს, მას გამოკითხავდა, რომ შემდეგ მთხოვნელი დაეკმაყოფილებია მშრომელი მაინც სრულიად მოკლებული იყო რჩევას, ვინაიდან ორ საათამდე ის თავაუღებლივ მუშაობდა და ამის შემდეგ ბიურო დაკეტილი იყო. მე არას ვამბობ იმაზე, რომ რჩევას იძლეოდენ შეუსაბამო ადგილს, რომელიც მეტათ დაშორებულია მუშების უბანზე, არას ვიტყვი იმაზეც, რომ რჩევას მიმცემისთვის თითქმის სრულიად უცხო იყო მუშების მდგომარეობა და გარდა ამისა ისინი მოისუსტებდენ სოციალურ კანონმდებლობის სფეროში.

მართალია, ნაფიც ვექილთა საბჭომ გადადგა ნაბიჯები რჩევა-დარიგების მოწყობის საქმეში, მაგრამ ახალი ვერაფერი შეიტანა: მან აღადგინა უცვლელათ ის, რაც ახალმა ცხოვრებამ დაასამარა, როგორც სრულიად უვარგისი.

არ შეიცვალა მთავარი ნაკლი, რომელიც ძველ კონსულტაციებს შესისხლხორცებული ქონდა და რომელმაც მოსპო ისინი. მე მოგახსენებთ კონსულტაციების ქველმოქმედებითი ხასიათზე ყოველი ნაფიცი ვექილი ვალდებული იყო ეღარაჯებია მორიგეობით კონსულტაციაში მთელი დღე უსასყიდლოთ, ნამდვილათ კი არავინ არ დარაჯობდა, რადგანაც ყოველ მათგანს თავისი უკეთესი საქმე ქონდა.

მართალია მშრომელი მასა მეტათ საჭიროებს იურიდიულ დახმარებას, მაგრამ მას, როგორც მოწყალებას ის არ ელის; არც უნდა მას უფასოთ შრომა გააწევიოს ვისმე, და მასთან შრომა უნაყოფო, დამამცირებელი. პირიქით, დღეს, როდესაც მთელი მართვა გამგეობა მის ხელშია, აქვს უფლება, რომ მის მიერ არჩეულმა ორგანიზაციებმა მოაწყონ მისთვის უფასო იურიდიული დახმარება, ნამდვილი, უტყუარი და სწორი დარწმუნება, რომლის მიღება შეეძლოს მას ყოველთვის, როდესაც მოისურვებს და თავის მახლობლად.

მხოლოდ ნოტარიალური კანტორის მუნიციპალიზაციას შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს იურიდიულ დახმარებას. ეს აზრი იყო ხაზ-გასმით გატარებული ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე.

ნიურენბერგის (გერმანია) მუშებმა წარსულ საუკუნის მიწურულში გადაწყვიტეს არავითარ საშუალებას არ დაერიდებოდნენ იურიდიული ბიუროს მოსაწყობად. მაშინ, დუხჭირ პირობებში, მათ შესძლეს ამ საქმის მოგვარება, შემდეგ ის იმდენად ააყვავეს, რომ რჩევას უცხო ქვეყნებიდან თხოვდნენ მათ.

ჩვენ ორმოცი წლის შემდეგ, როდესაც მთელი ძალა უფლება ჩვენს ხელშია, იმგვარივე საქმის მოსაწყობად სულ ცოტა გვჭირდება: მოვსპოთ კერძო პირთა მონოპოლია, რომ ის ყველას სასარგებლოთ გამოვიყენოთ.

პარმენ კახიანი.

ს.-დ. პარტიაში

ზემო გომი. ენკენისთვის 18-ს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის გომის სათემოს კოლექტივის კრება. კრებას დაესწრენ იაჩეიკების წარმომადგენლები და გორისა და ხაშურის კომიტეტების წარმომადგენლები. გარჩეულ იქნა სხვადასხვა მიმდინარე ხასიათის პარტიული საკითხები.

პარტიული მუშაობის შესახებ ფრიად საყურადღებო მოხსენება გააკეთა გორის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ქვათაძემ. ამხ. ქვათაძემ მოუწოდა ამხანაგებს პარტიულ მუშაობაში მეტი და სასტიკი დისციპლინის შეტანის შესახებ. ამხ. ქვათაძის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

სარდალი.

ხაშური. (ქუთ. მაზრა) აქაური ს. ს. დ. მუშ. პარტიის კოლექტივი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, მუშაობას არ აწარმოებს. ხუთი-ექვსი თვეა პარტიის წევრთა საერთო კრება ვერ მოუწყვია, სადაც გამოირკვეოდა მისი უმოქმედობის მიზეზები. სოფელში აუარებელი საქმეებია გასაკეთებელი და მისი ხელმძღვანელი ორგანოს წევრები გულზე ხელ დაკრეფილი სხედან, ამავე დროს მოწინააღმდეგე პარტია ეროვ.-დემოკრატები დიდს უნარს იჩენენ. უკანასკნელ თემის საერობო ხმოსანთა არჩევნებზე 20 ხმოსანში 9 ხმოსანი გაუყვანიათ და გამგეობაში გარდა თავმჯდომარისა იმათი წევრებია; თუ ასეთი უმოქმედობა პარტიის წევრების კიდევ გაგრძელდა, მომავალ არჩევნებზე შეიძლება ერთი ხმოსანიც ვერ გავიყვანოთ. საჭიროა ამას თავ დაუხნევ მიაქციოს სათანადო ყურადღება ქუთ. სამაზ. ს.-დ. კომიტეტმა: გაგზავნოს თემში ისეთი ამხანაგი, რომელიც დაშლილ ორგანიზაციებს აღადგენს და გაურკვევს პარტიის წევრთ მათ მოვალეობა ვალდებულებას.

ხ. ხნიკიშვილი.

მარანი (სიღნაღის მაზრა). თანახმად 24 სექტემბ. 1920 წ. მარნის თემის საქარ. ს. დ. მ. პარტიის კოლექტივის დადგენილებისა ბიქტორ ლუკას ძე თელია გამორიცხული არის პარტიის წევრობიდან.

მარნის კოლექტივი.

საჩხერე. 3 ოქტომბერს ადგილობრივ თეატრის დარბაზში დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. ზაქარია გურულმა გააკეთა მოხსენება ს. დ. ქვეკოლექტივის ამხანაგებთან. მოხსენებელი შეეხო დამფუძნებელ კრების მუშაობას, შეეხო მეთ გადადგმულ ნაბიჯს და რჩევას. დაბოლოს მოუწოდა ამხანაგებს პარტიულ მუშაობისაკენ. 2 ოქტომბერს პარტიულ ამხანაგებში ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. რაიონის პროპაგანდისტმა ქუმბურიძემ, რომელიც ვრცლათ შეეხო დღევანდელ მდგომარეობას.

შალიკო ხვალაბუნელი.

მუშათა შორის

დ. საჩხერე. 3 ოქტომბერს დ. საჩხერეში შესდგა საჩხერის ხე-ტყის და რკინის გზის საექსპლოატაციო მუშათა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 70 დე წევრი.

დღის წესრიგში იყო ორი კითხვა: 1) არტელის დაარსება და 2) პროფ. კავშირის გამგეობის არჩევა (რეორგანიზაცია).

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი ზაქ. გურული, რომელიც აღნიშნავს საერთოდ არტელის მნიშვნელობას მუშათა მოძრაობაში, აცნობს კრებას არტელის ძირითად დებულებებს, მიზანს არტელის დაარსების და სხ.

მოხსენების შემდეგ კრება ერთხმათ ღებულობს პრინციპიალურ საკითხს არტელის დაარსების შესახებ. წესდების გამომუშავებას და მის დასამტკიცებლათ წარდგენის შემდეგ საზოგადო კრებისათვის კრება ავალებს მომავალ გამგეობას. მეორე კითხვაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება შემდეგს ადგენს: მოხდეს ძველი გამგეობის რეორგანიზაცია, კავშირის გამგეობა შესდგებოდეს ხუთი კაცისაგან.

გამგეობაში ერთხმათ არჩეულ იქნენ: ივლიანე ეზიაშვილი, დავით ჩაჩანიძე, სიმონ ხახიშვილი, ბესარიონ ფარქოსაძე და პეტ. იოსაშვილი.

დასასრულ ამხ. მიხ. ჯაჯანიძე მოუწოდებს კრებას ენერგიულ მუშაობისაკენ, მიუთითებს მათ იმ მოვალეობაზე, რომელსაც ის ღებულობს თავის თავზე არტელის დაარსებით და უსურვებს მათ პირნათლათ გაატარონ ცხოვრებაში ყოველივე მათზე დაკისრებული მოვალეობანი.

პ. ტყემალაძე.

ფოთი. 4 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ფოთის კავშირთა საბჭოს მიერ კავშირთა გამგეობის კონფერენცია. თავჯდ. ტ. ელენტი, მდ. ლ. ძიძისტარიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1. საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს მუშათა დელეგაციის მიღებაზე უარის თქმა, 2 მუშათა კონტროლი, 3. დრამატიულ საზოგადოების შესახებ. პირველ საკითხზე ამხ. იროდიონ ქორქიას მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია ქალაქ ფოთის მოწვეული 4 ოქტ. ა/წ. გაითვალისწინა რა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მუშათა დელეგაციის საბჭოთა რუსეთში შეშვების უარის თქმა, დაადგინა: 1) საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს მუშათა კლასის დელეგაციის მიღებაზე უარის თქმისთვის ფაქტად პოლიტიკურ სიმხდალისა და ძმური კავშირის აღდგენაზე უარის თქმისა. 2. საქართველოს მუშათა კლასს, რომელსაც აქვს რევოლიუციონური წარსული რუსეთის მუშათა კლასთან და მასთან უდიდესი მიზანი—განხორციელება სოციალიზმისა, უაღრესად დაინტერესებული იყო გასცნობოდა მეთოდებს არსებულს რუსეთში სოციალიზმისათვის, შეძლება მისცემოდა შეედარებინა ორი მეთოდი რუსეთისა და საქართველოს მუშათა კლასისა, და აერჩია კარგი ამ მეთოდებისაგან. 3. უარის თქმა საბჭოთა მთავრობის მიერ, საქართველოს დელეგაციის მიღებაზე,ართმევს საშუალებას საქართველოს მუშათა კლასს გაეცნოს რუსეთის მუშათა კლასის ნამდვილ მდგომარეობას.

კონფერენცია ქალაქ ფოთის პროფ. კავშირების საჭიროდ მიაჩნია მიმართოს უშუალოდ რუსეთის მუშათა კლასს ს. რ. ა. კ. პროფესიონალურ კავშირებს რომ თვით მან გამოგზავნოს მუშათა დელეგაცია საქართველოში, რათა ადგილობრივ გაეცნოს ორი მეთოდის შედეგებს, საქართველოს მუშათა კლასს არაფერი აქვს დასამალი თავისი მოძმე რუსეთის მუშათა კლასისაგან. კონფერენციას სწამს, რომ საქართველოს მუშათა კლასის მიმართვა რუსეთის მუშათა კლასისადმი არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მუშათა კონტროლის შესახებ მოხსენებას აკეთებს რ. ქორქია; რომელიც აღნიშნავს, რომ ნიხრი ვერ ტარდება ცხოვრებაში, მას ეღობება წინ მრავალი დაბრკოლებანი.

კონფერენცია ადგენს: წინადადება მიეცეს ქალაქის თვითმართველობას, რათა მან მიაქციოს ამას მეტი ყურადღება: ა) ყველა სავაჭროებში იქნას გაკრული ნიხრი, ბ) აილაგმონ და განიდევნონ ქალაქიდან ყველა სპეკულიანტები, გ) მიემართოს კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მან იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ დაარსდეს ერთი ცენტრალური სანიხრო პალატა, მთელ რესპუბლიკას დაბა-ქალაქებში შემოღებულ იქნას ნიხრი, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი ცხოვრებაში გატარება.

მესამე საკითხის შესახებ კონფერენციას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან აუცილებელია მუშათა განვითარება — გათვითცნობიერებისათვის თეატრი, დრამატიულ საზოგადოებას კი დღევანდელ პირობებში ექნება ყოველთვიური დეფიციტი დაახლოვებით 60 ათას მანეთამდე, კონფერენცია ადგენს: მიმართოს კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მან აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ფოთის დრამატიულ საზოგადოებას მიეცეს ნახევარი მილიონი მანეთი დახმარების სახით.

მარნელი.

პროვინცია

ქ. ლანჩხუთი (გურია) ნათლის-მცემლის მოედანზე ლანჩხუთის რაიონის სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებელმა სექციამ თავის ფონდის გასაძლიერებლათ და ნათლის-მცემლის სამკითხველოს გამგეობამ სამკითხ. ფონდის გასაძლიერებლათ გამართეს დიდი სეირნობა—ალეგრით და წარმოდგენით; აგრეთვე იყო თამაშობა ამერიკელთა მედოლენისა, მოქ. ლუკა ჩხარტიშვილის მეთაურობით; მოწვეული იყო ქ. ქუთაისის სახალხო გვარდიის მუსიკა. სეირნობა დაიწყო დღის ოთხი საათიდან, დაესწრო მრავალი მოქალაქე, რომლებმაც არ დაიშურეს თავისი წვლილი შემოეტანათ ამ ორი დაწესებულებათა სასარგებლოთ და სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა. მღეროდა მომღერალ სამუელ ჩავლეშვილის ხორო. სეირნობა გაგრძელდა დილის ოთხ საათამდე. დიდი მადლობის ღირსია ქ. ქუთაისის სახ. გვ. მუსიკის შემადგენლობა რომელმაც გაუწია ანგარიში ყოველივეს და, არ დაიშურეს თავისი ძალ ღონე რომ დარჩენილიყვნენ დილამდე. უაღრეს მადლობას უძღვნით ამერიკელთა მედოლეს განსაკუთრებით მეთაურ ლუკა ჩხარტიშვილს რომელთაც თავიანთ ვარჯიშობით დიდათ ასიამოვნეს ხალხი. მადლობას უძღვნით მოქალაქე სამუილ ჩავლეშვილს რომლის გუნდმაც დიდათ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება.

გრ. ურუშაძე.

სალხინოს რაიონი (სენაკის მაზრა). აგვისტოს ბოლო რიცხვებში სალხინოში ჩვეულებრივათ გაიმართა ბაზრობა სადაც აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ დროს ლეჩხუმიდან ჩამოვიდა დამფუძნებელ კრების წევრი ვლასა მგელაძე, რომელმაც მოხსენება-საუბარი გამართა ხალხთან. მოხსენება შინაარსიანი იყო და ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა. დეპუტატ მგელაძეს თან ჩამოყვა ფრანგი მწერალი ქალი ოდეტკიუნი, რომელიც ერთი კვირა დარჩა აქ. მისი სურვილით გაიმართა ძველებური სიმღერა, ცეკვა-თამაში და სხ. ყოველივე ზნე-ჩვეულება აქაური ხალხისა ჩაიწერა ქ-ნმა ოდეტკიუნმა.

იმავე კვირაში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ორჯერ გაიმართა საღამო-წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით. უკანასკნელი წარმოდგენით ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა. სასურველია ხშირათ იმართებოდეს ასეთი წარმოდგენები, რითაც ხალხი მადლიერი დარჩება.

სურსათის ნაკლებობამ უკიდურესს წერტილამდე მიაღწია, 1 ფ. სიმინდი 2500 მან. ფასობდა. მაგრამ დღეს უკვე ახალი მოსავალია და 900—1000 მან. დაეცა სიმინდის ფასი. მანუფაქტურის უქონლობით ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის.

აზერბეიჯანთან ომის დროს მობილიზაციით გამოწვეულთა შორის ზოგიერთი ვაჟბატონები მიმალულან. მათ წინააღმდეგ ერობას და არც ადმინისტრაციას არავითარი ზომები არ მიუღია და დღეს ისინი თავისუფლად დანავარდობენ. საფუნდო მიწებს, როგორც სხვები, ისინიც ღებულობენ. ამის გამო ხალხში სამართლიანი მითქმა-მოთქმაა, ვინც იმალება უფრო დაუსჯელი რჩება, მთავრობა ზომებს არ ღებულობს მათ დასასჯელათ და სხვ.

ჯარისკაცი ტრ. ხახილაია.

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ გაზეთის საშუალებით შემდეგი:

— მარიამობისთვის დამლევს ატენის თემში სოფ. პატარა ქვარებში (გორის მაზრა) ჩემთან მოვიდა ერთი ყმაწვილი 14—15 წლისა გიორგი (ჟორჟა) კუპრაძე, რომელმაც მიამბო შემდეგი: „მამა ჩემმა იოსებმა გააგდო დედა ჩემი რუსი და მოიყვანა მეორე ცოლი ქართველი, რომელიც ძალიან ცუდათ მეპყრობოდა ყოველ დღე მცემდა, მშიერს მტოვებდა. ბოლო დროს მამა მიპირებდა მოკვლას, ამიტომ გამოვექეცი მამას მანგლისიდგან, სადაც საიგარაკოთ ვიყავით. მამა ჩემი ოზურგეთელია და ვცხოვრობდით თფილისში, სადაც მე გიმნაზიაში ვსწავლობდი". ყმაწვილს თუ ჰყავს ვინმე გულშემატკივარი, ვთხოვ მოიკითხოს ჩემთან.

ჯვარების სკოლის გამგე **დ. გაგლოევი.**

რედაქტორი ლევან ჩათაძე

განცხადებანი

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს
მათემატიკაში,
ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ
მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მაჩაიძის ბინა. (3333 10—1)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კიროჩნის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12-ოქტ.

კ. ზ. ვარ[illegible]
სპეციალურად კანისა და [illegible] სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ (7 ნოემ.)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს საზებით, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კიროჩნის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი შ. ა. შაურანი
სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] დიდები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. [illegible] ქ. № 33. 21 ნოე.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), საშარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. ფალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის 1 დასაწყისი. ზიმელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1- ნოემ)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონხე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი
ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე [illegible] № 22. [illegible]

საწვიმარო პლაში კურტკები
— მუშებისთვის —
და სხვადასხვა ნაირი
ფუფაიკები
იყიდება მხოლოდ ბითუმად
ქართულ აქციონერულ საზოგადოება
„ოქროს ვერძის" საწყობში.
გრაფის ქუჩა № 2.
9—2 საათამდე.
(3339 1—1)

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"
რომელიც იღებს ყოველგვარ საკერავს და ასწავლის
ჭრა-კერვას
ქარგვას და სხვა და სხვა ხელსაქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში. აგრძელებს მოწაფეების მიღებას. მისამართი—ვერის დაღმართი № 3, ბინა 9.
(3339 5—1)